„მოგზაური“ წელიწადში დირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ. № 44.

მოგზაური

უოველკვირეული ჟურნალი

რედაქცია ყოველ დღე 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 22. კვირა, 12 ივნისი 1905 წლისა. № 22.

რედაქციისაგან: ამ ნომრიდან **გაზეთის გზავნა ესპობა**, ვისაც ხვედრი ფული შემოტანილი არა აქვს.

„მოგზაურის“ რედაქცია აუწყებს თავის თანამშრომლებს და მკითხველებს, რომ ქალაქ ქუთაისში 8 ივნისს გარდაიცვალა **რედაქციის წევრი და მუდმივი თანამშრომელი**

ალექსანდრე წულუკიძე

დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 12 ივნისს, დაბა ხონში, გასვენება ქუთაისიდან—დილის 9 საათზე.

8 ივნისს ქალაქ ქუთაისში გარდაიცვალა

ალექსანდრე გრიგოლის ძე წულუკიძე

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **ელენე**, დედ-მამა **თავადი გრიგოლ სიმონის ძე** და **მარიამ ერმილეს ასული წულუკიძენი** და მამიდები **ქალბატონი ნინო ჩიქოვანისა** და **მარიამ დადიანისა**.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე.

დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 12 ივნისს, დაბა ხონში, სადაც გაასვენებენ ქუთაისიდან იმავე დღეს, დილის 9 საათზე.

8 ივნისს ქალაქ ქუთაისში გარდაიცვალა

ალექსანდრე წულუკიძე

რასაც განსვენებულის **ამხანაგები** აუწყებენ მეგობართა და ნაცნობთ.

დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 12 ივნისს, დაბა ხონში, სადაც გაასვენებენ ქუთაისიდან იმავე დღეს, დილის 9 საათზე.

შინაარსი: ალექსანდრე წულუკიძის ხსოვნას, ფ. მახარაძისა.—ალექსანდრე წულუკიძე, ნ. ელიავასი.—დაუვიწყარ საშა წულუკიძეს, შალვა შარაშიძისა.—სხვა და სხვა ამბები.—დაბა სოფლის ამბები.—რუსეთის ქრონიკა.—პასუხი ჩვენს ბატონს, ხაშურელისა.—გლეხების ნაამბობი, ვ. ნ.-ისა.—საფრანგეთის ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში, ანისა.—დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა, კლარა ცეტკინასი, (ნათარგმნი).—ფოთში გურულ-მეგრელ მუშათა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების შესახებ, ბენია ჩხიკვიშვილისა.—ღია წერილი თფილ. სათ.-აზნ. სკოლის ქართველ მასწავლებლებს, ს. კანდელაკისა.—წერილი რედაქციის მიმართ.

ალექსანდრე წულუკიძის ხსოვნას.

დღეს დაბა ხონში მიაბარებენ სამარეს უდროვოთ დაკარგულს, ჯერ სულ ახალგაზდა, საზოგადო მოღვაწეს, ალექსანდრე წულუკიძეს. განსვენებული ეს რამდენიმე წელიწადია შეპყრობილი იყო საშიშარი სენით. მისი ჯანმთელობა თხოულობდა, რომ იგი სრულებით მოშორებოდა აბობოქრებულ ცხოვრებას და სადმე დამშვიდებით და წყნარათ ეცხოვრა, რამდენსამე ხანს მაინც. ასე იქცევა საზოგადოების უმრავლესი ნაწილი, და ამაში იხატება მისი ვიოომდა გონიერება. ალექსანდრე წულუკიძე-კი მოკლებული იყო ასეთ „გონიერებას“. იმ დროს, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება მისგან სამსახურს თხოულობდა, მას არ შეეძლო თავის პირად ინტერესებზე ეზრუნა. როცა მისი ფიზიკური ჯანმთელობა დასვენებას და ექიმობას თხოულობდა, იგი უზომო შრომაში ატარებდა დროს. იგი ებრძოდა დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების დუხჭირ მავნე პირობებს; იგი მოქმედებდა საუკეთესო პირობების მოპოებისათვის, როცა ადგილი აღარ ექნება ადამიანის დაჩაგვრას და შევიწროებას. და აი ამ სარბიელზე მეტათ ნაყოფიერი შეიქნა მისი მოღვაწეობა. თუმც ხან-მოკლე იყო ეს მოღვაწეობა, მაგრამ იგი წაუშლელი



ალექსანდრე წულუკიძე.
(გადაიცვალა 8 ივნისს, 1905 წ.)

დარჩება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების ისტორიაში. ჩვენი ოფიციალური საზოგადოება და მწერლობა მას მეტათ ნაკლებათ იცნობს; სამაგიეროთ მისი მოქმედება ალბეჭდილია ჩვენი მშრომელ ხალხის გულში. ალექსანდრე წულუკიძის დაკარგვა ჩვენთვის მეტათ საგრძნობელია. დღეს, როცა გარშემო საერთო გათახსირება და დაცემაა, როცა პირადმა ანგარიშებმა ჩაგრულთა მოსარჩლეების წრეშიაც იჩინა თავი, მეტათ მძიმე და მეტათ სამწუხაროა ალექსანდრე წულუკიძის დაკარგვა, რომელიც მუდამ მაღლა იდგა, რომლის ზნეობის სიფაქიზეში თვით მტრებიც-კი ვერ შეიტანდენ ეჭვს. მოვა დრო და, ვგონებთ, იგი შორს აღარ არის, როცა ალექსანდრე წულუკიძის მოღვაწეობას ფარდა აეხდება, და საზოგადოება აშკარათ დაინახავს, თუ რა სასარგებლო მოღვაწე, რა ძლიერი ენერგიის, მტკიცე ხასიათის და ზნეობრივი სისპეტაკის მქონებელი ადამიანი დაკარგა მან ალექსანდრე წულუკიძეში. ახლა-კი მშვიდობით, უდროვოთ დაკარგულო,

ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო, საშა! შენ არ მომკვდარ-ხარ იმათთვის, ვინც შენ გიცნობდა, ვინც შენთან ერთათ ემსახურებოდა და ემსახურება სახალხო საქმეს. ვაი იმათ, ვინც საზოგადოებას უკუღმართ გზაზე აყენებენ, ვინც ბნელ ძალებს იწვევენ! შენი სახე-კი მუდამ ბრწყინვალე იქნება და შენი ხსოვნა შერავანდედით შეიმოსება! საუკუნოთ ტკბილი მოსაგონებელი გახდება შენი გახსენება ყველა ტვირთმძიმეთა და მაშვრალთათვის!

ფ. მახარაძე.

ალექსანდრე წულუკიძე

8 ივნისს ქუთაისში გარდაცვლილი ალექსანდრე წულუკიძე ჯერ სულ ახალგაზდა კაცი იყო, 28—29 წლის იქნებოდა. თავისი ხანმოკლე სიცოცხლე განსვენებულმა მეტათ ნაყოფიერათ გაატარა და ბევრი ვერ დაიკვეხნის, იმდენი შრომა გაეწიოს ხალხის კეთილდღეობის გასამტკიცებლათ, რამდენიც მას მიუძღვის. ასეთი ახალგაზდის დაკარგვა მეტათ საგრძნობელია ჩვენი ხალხისათვის, ხოლო კიდევ მეტათ ჩვენთვის, განსვენებულის ამხანაგებისათვის და კერძოთ ჩვენი რედაქციისათვის. სამძიმოა ნამეტურ ამ სიცოცხლით სავსე ხანაში, რიცა ყოველ დღეს მოსალოდნელია ისეთი ამბები დატრიალდეს, რომ ალექსანდრესთანა თავგანწირული მუშაკი ერთობ ძვირფასი იქნეს, ხოლო თუ დღევანდელი ადამიანის შემბოჭველი პირობები ცოტათი მაინც შეიცვალა. მაშინ მისი თეორეტიული მომზადება და პრაქტიკული მოღვაწეობა უფრო ნაყოფიერი იქნებოდა... როგორც ვიცით, განსვენებული ჯერ სულ ახალგაზდა იყო. დაიბადა 1876 წელს 1 აგვისტოს დ. ხონში მდიდარი მემამულე თავადის ოჯახში და ბავშვობაში საკმაო ფუფუნებაში იზრდებოდა. მისი მამის ოჯახი ერთი საუკეთესოთაგანი იყო იმ დროს ქვემო იმერეთში. დედა ადრე დაკარგა საშამ, ასე რომ არც კი უნდა ხსომებოდა. მამას იმ დროს მეტი არაფერი უყვდა და, ადვილათ წარმოიდგენთ, რა მზრუნველობით იქნებოდა გარემოცული მისი აღზრდა, რომელსაც დედის მაგიერობას მამიდა მისი ნინო (დღეს კნ. ჩიქოვანისა) უწევდა. უკანასკნელს მზეც და მთვარეც საშაზე ამოდიოდა, და დღესაც, დავაჟკაცებული საშა, მუდმივი მისი მზრუნველობის საგანს შეადგენდა. არც იყო მეტი ეს მზრუნველობა, რადგან უდროოთ დაკარგული საშა ბავშვობაშიაც სუსტი იყო და ამ უკანასკნელ 5—6 წლის განმავლობაში კი ულმობელი სენით შეპყრობილი, მუდამ ცუდათ იყო. აქვე აღვნიშნავთ მამისა და შვილის განწყობილებას, რომელსაც არა მცირედი მნიშვნელობა ქონდა განსვენებულის ცხოვრებაში. ამ განწყობილების ერთი მხარე იქცევდა ყოველთვის ჩემ ყურადღებას. მე მინახავს მამა და შვილი იმ დროს როცა საშა შვიდი წლის იქნებოდა, შემდეგ ათის, თოთხმეტ-თუთხმეტის, ოცის და უკანასკნელ ერთი წლის წინათ და ყოველთვის მათი მეგობრული, ამხანაგური განწყობილება მიტაცებდა ხოლმე. იშვიათ შვილს გამოუცდია ასეთი ბედნიერება... აქ ადგილი არ ქონდა იმ ოფიციალურ თანასწორ უფლებიანობას, რომელსაც ამყარებენ ოჯახში ნასწავლი მშობლები. არა, ეს მამა-შვილი მართლა მეგობრები იყვენ, თუმცა რაც დრო გადიოდა შვილი მამას უსწრებდა და იდეურათ შორდებოდა ძვირფას ადამიანს. ამ გარემოებამ, ვფიქრობ, მეტათ შეუწყო ხელი საშას უკუღმართ გზიდან სწორეზე გადმოსვლას. იგი შთაბეჭდილებიანი ადამიანი იყო, და მშობლები რომ მკაცრათ მოქცეოდენ, როცა მან სასწავლებელი მიატოვა, შეწყრომოდენ, შეიძლება საბოლოოთ ჩაეთრიათ იგი ცხოვრების ნაძირალებს. მგონია, რომ სწორეთ ამ მეგობრულმა კავშირმა შეუწყო ხელი აგრეთვე მასში თავისუფალი, ხასიათ მტკიცე და დამოუკიდებელი ადამიანის განვითარებას. პირველ დაწყებითი მომზადება საშამ ჯერ საკუთარ ოჯახში მიიღო და შემდეგ ქუთაისში კარგათ ცნობილ ქ-ნ. ხლებნიკოვის პანსიონში, რის შემდეგაც სუსტი შესახედავათ, მაგრამ სიცოცხლით სავსე, ცქრიალა 8—9 წლის საშა ქუთაისის პროგიმნაზიაში მიაბარეს. აქ ბავშვი სწავლით კარგათ სწავლობდა, მაგრამ თავისუფლათ გაზდილი, დამოუკიდებელი ხასიათის მქონე პატარა ადამიანი სასკოლო რეჟიმს ველარ შეურიგდა და „ყოფაქცევაში კოჭლობდა". მაინც, დაასრულა პროგიმნაზია და გიმნაზიის მეხუთე კლასში გადავიდა. აქ კი ველარ გაუძლო ერთი მხრით სულის შემხუთავ რეჟიმს, მეორე მხრით კი ვერ წინააღუდგა საკმაო ენერგიით მაცდურ პირობებს და გიმნაზიას და საზოგადოთ სასწავლებელს სამუდამოთ გამოეთხოვა. აი ეს დრო იყო სახიფათო საშას ცხოვრებაში, როცა მას მისი ტოლი ფეოდალების, ანუ ჩვენებურათ, ახალი გამოჩეკილი რაინდების ბრბო უფრო და უფრო მიითრევდა თავისკენ, და ცოტა ხნით დაიკავშირა კიდეც; მაგრამ მისმა სპეტაკმა ბუნებამ მალე უკუაგდო ეს დროს გადასულთ ჯგუფი, გამოეთიშა მათ, რადგან მისი ნიჭი და ფაქიზი ხასიათი სულ სხვა მხარეს ეზიდებოდა ნორჩ ადამიანს. საშას მალე მოსწყინდა ფუქსავატი ამხანაგები, დაიწყო გატაცებით წიგნების კითხვა, ლექსებისა და მოთხრობების წერა, რომელთაგან ორი თუ სამი კიდეც დაიბეჭდა მაშინდელ გამოცემებში, და ამ რიგათ გონებრივი ინტერესი თან და თან გაუმტკიცდა. მისი ფართო ნიჭი ვერ დაკმაყოფილა იმ დროს (ეს იყო 90-ან წლების პირველ ნახევარში) გაბატონებულმა მიმართულებამ, თუმცა მცირედი ხარკი მანაც გადაუხადა პატრიოტულ ღმერთას. ამ ხანაშიაც საშას ლექსების რვეულში, რამდენათაც მაგონდება, უფრო ჩაგრული ადამიანი იყო გაბატონებული. ასეთი იყო საშას ცხოვრებაში გარდამავალი ხანა. 1896 წელს საშა ჯერ ქუთაისში და შემდეგ თფილისში გაეცნო ცხოვრებაში ახალ გამოსულ ჯგუფს, რომლის წმინდა იდეალებმა მალე წარიტაცეს მისი გონება, და ამ დღიდან დაადგა ის მიმართულებას, რომლის სამსახურს შეალია თავისი ხანმოკლე სიცოცხლე. მალე იგრძნო საშამ, რომ მისი მომზადება-განვითარება არ იყო საკმარისი საფუძვლათ დადებოდა პრაქტიკულ-მოღვაწეობას და შეუდგა თვით-განვითარების საქმეს. მაცადინობდა თავდავიწყებამდე გატაცებით, და არა ერთი და ორი ღამე გაუთენებია წიგნზე. ასეთი შრომით, მისი ნიჭიერი ბუნების წყალობით საშა მალე გაუსწორდა ბევრს მის ხელმძღვანელ ამხანაგს და მათ შორის საპატიო ადგილი დაიჭირა. ამ დროს ქუთაისში გახშირებული იყო რეფერატების კითხვა, რომელსაც ადგილობრივი განათლებული ქალ-ვაჟნი დიდი ინტერესით ესწრებოდენ, რადგან ეს რეფერატები აცნობდენ ახალ მოძღვრებას, აყენებდენ ახალ კითხვებს მსმენელთა გონების წინაშე; მათ ესწრებოდენ მოძღვრების მოწინააღმდეგენიც, და იმართებოდა კამათი ორ მიმართულების წარმომადგენელთა შორის. აქ ახალგაზდა ოცი წლის ჰაბუკს საშას სწორეთ რომ საპატიო ადგილი ეჭირა. როცა მაზე მიდგებოდა ლაპარაკის ჯერი, ყველა სიამოვნებით მიაპყრობდა თვალებს ნორჩ ორატორს და დარწმუნებული იყო, რომ ის გონივრულათ დააყენებდა კითხვას, რამე ახალ მხარეს ახდიდა ფარდას, ახალ საბუთს და განმარტებას წარმოადგენდა. განვითარების ასეთ ხანაში მყოფ ორატორებს ზოგჯერ შეეშლებოდათ კიდეც რამე და ამიტომ ზოგიერთი ამხანაკის ლაპარაკი გვაშინებდა დანარჩენებს, მაგრამ როცა საშა ლაპარაკობდა, ყველას იმედი გვქონდა მისი ხიჭის და ლოღიკის, მომხრეც და მოპირდაპირეც გულდასმით, ამხანაგები კი გულდამშვიდებით

ვისმენდით მისს ენაწყლიან საუბარს. აქ და, კიდევ მეტათ, პატარა წრეში განმტკიცდა მისი მიმართულება და 1897 წელს განვითარების შესავსებათ გასწია მოსკოვში. ყველა მოხარული იყო საშას ასეთი გადაწყვეტილებით, მაგრამ ყველას აფიქრებდა მისი მოსკოვში წასვლა. ნათესავები ურჩევდენ სხვა ქალაქში, უფრო სამხრეთისკენ წასულიყო; ამას ამყარებდენ ექიმების აზრზე, მაგრამ საშას პროგრამმა შემუშავებული ქონდა, მას სოციალურ-ეკონომიური კითხვები აინტერესებდა, ხოლო ამათი საუკეთესოთ გარკვევა-შემუშავება, რუსეთში შეიძლებოდა: პეტერბურგში ან მოსკოვში. ამ ქალაქებში იყო სამეცნიერო საზოგადოებანი, საცა თითქმის ყოველ კვირაში იკითხებოდა რეფერატები ახალ კითხვებზე, აქ იყვენ საუკეთესო პროფესსორები ეკონომიური მეცნიერებისა, და საშას გადაწყვეტილებაც შეურყეველი შეიქნა. სახიფათოთ მიაჩნდათ ნათესავებს საშას მოსკოვში წასვლა იმ მოსაზრებითაც, რომ ამ დროს მამის ოჯახის კეთილდღეობა უკვე შერყეული იყო და შიშობდენ, გაჭირვებული ცხოვრება მალე მოუსწრაფებს მის სუსტ აგებულებასო. საშამ ეს მოსაზრებაც უკუაგდო. მოსკოვში ჩამოსვლისათანავე ჩაეწერა იურიდიულ ფაკულტეტზე, საცა ისმენდა უმთავრესათ ჩუპროვის და მანუილოვის ლექციებს პოლიტიკურ ეკონომიისას და მონაწილეობას იღებდა პრაქტიკულ მაცადინეობაშიც. ამავე დროს ემზადებოდა გიმნაზიის ატესტატის ეგზამენისთვისაც. საცოდაობა იყო ამ «უჩებნიკების» სწავლის დროს საშა. კანვითარებით ის ბევრ უფროს კურსის სტუდენტებზეც წინ იყო, მარა მხოლოთ თავასუფალ მსმენელობის უფლება ქონდა და სჯუმრათ ითვლებოდა მეცნიერების იმ ტაძარში, საცა დარწმუნებული ვარ, უფლება რომ ქონოდა, თავის წვლილის შეტანასაც კი შეიძლებდა. დიახ, საშა სტუმარი იყო აქ, და „თეთრ სარჩულიანები“ კი მასპინძლები. გული გვიკვდებოდა, როცა ვხედავდით, რომ ჩვენი ნიჭიერი საშა ნახევარ დღეს გიმნაზიის უაზრო საგნებს ანდომებდა, პირველ ნახევარის მეცნიერულ მაცადინეობის შემდეგ. იტანჯებოდა საბრალო თვითონაც ამ უაზრო შრომით, მაგრამ უნდოდა ეძლია ეს გაჭირებაც და გაეკაფა გზა მეცნიერებისაკენ. ჩვენც ვურჩევდით შრომის განგრძობას, მაგრამ ბევრათ უფრო თავისუფლათ ამოვისუნთქეთ, როცა გამოგვეცხადა, აღარ მინდა ატესტატი, ამ დროს უფრო ნაყოფიერ შრომაში გავატარებო, და უკუაგდო გიმნაზიის სახელმძღვანელოები. მანაც თავისუფალათ ამოისუნთქა და შეუდგა მაცადინეობას გაორკეცებულ ენერგიით. მთელ დღეს რუმიანცევის საჯარო ბიბლიოთეკაში ატარებდა და საზოგადოებრივ-ეკონომიური მეცნიერების ყველა კლასსიკები გაიცნო და შეისწავლა. შეისწავლა აგრეთვე ფილოსოფიის მთავარნი საფუძველნი, გადიკითხა ამ დარგის საუკეთესო წიგნები. ასეთ შრომაში გაატარა ნორჩმა საშამ ორი წელი მოსკოვში. მატერიალურათ განსაკუთრებული გაჭირვება არ გამოუცდია ამ დროს; ცხოვრობდა, როგორც ყველა ღარიბი სტუდენტი, ხან უსადილოთაც დარჩებოდა, მაგრამ ეს არაფრათ აფიქრებდა მას. ორი წლის ასეთმა ცხოვრებამ კივ მოსკოვში თავისი დაღი დაასვა მის სუსტ აგებულებას, მისი ჯანმრთელობა შეირყა, გატყდა სუსტი არსება და ულმობელმა სენმა იჩინა თავი, ფილტვები დაუზიანდა. ორი წლის მაცადინობის შემდეგ 1899 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა შინ და იმავე ზაფხულზე ქორწინებით საუკუნოთ დაუკავშირა თავისი ბედი მისი გულის არჩეულს ელენეს, რომელიც შეიქნა მისი ცხოვრების ნამდვილი თანამგზავრი.

ახლა საშამ ნამდვილ ცხოვრებაში ამოყო თავი, საკუთარ ფეხზე დადგა, საკუთარი ოჯახი გაიჩინა და შეუდგა პრაკტიკულ მუშაობას. პირველათ თფილისში დაბინავდა, საცა ცხოვრების სახსარს თვითონ რკინის გზის ხამმართველოში დღიური მუშაობით პოულობდა, მეუღლე კი გაკვეთილებით. რა ბედნიერი იყო ამ დროს ეს პატარა ოჯახი! ყველა აზრნაგები იქ თავისუფლათ, თავის ოჯახში, გრძნობდენ მასა და ამითი ყველაზე ბედნიერი იყვენ თვით მასპინძლები, თუ კი ასეთ განწყობილებაში მასპინძლობა შეიძლება; ამ დროს კიდევ არ მორეოდა საბრალოს სენი. რამდენიმე დღე მეც გამიტარებია ამ ბედნიერ ოჯახში და არ მაქვს წარმოდგენილი, რომ ეს დღეები ჩემი ხსოვნიდან ოდესმე წაიშალოს. ცხოვრებდა ხელმოკლეთ, მაგრამ თვით ამ ხელმოკლეობაში იყო სიამოვნება და ბედნიერება. თფილისში დაყვეს ერთი წელი და შემდეგ ბათომში დაბინავდენ. იქ მატერიალურათ ცოტა უფრო უზრუნველყოფილი იყვენ, მაგრამ ბავშვების ავათმყოფობამ მიატოვებია იქაურობა და ორი წლის შემდეგ ბათუმსაც გამოეთხოვენ და ქუთაისში მოიკალათეს. ამ დროს სენიც გაუძლიერდა და თითქმის ხელი ააღებია საბრალოს ლუკმა-პურისთვის შრომაზე. მხოლოთ ლუკმა პურისთვის შრომას დაანება თავი საშამ; მაცადინეობა და პრაქტიკული მუშაობა კი ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია საბრალოს. იდეის სამსახურს შეალია მან თავისი ხან მოკლე სიცოცხლე და მისთვის ბრძოლაში დალია სული. უკანასკნელი მისი სიტყვებიც ეს იყო: „იდეა მაინც გაიმარჯვებსო“.

ასეთი იყო საშას ხან მოკლე სიცოცხლე. ყოველგან ის საქმის შუაგულში იყო და ეწეოდა ბრძოლას ცხოვრების ზედა პირზეც და თვით შუაგულშიც. იყო თანამოზიარე და მონაწილე დიადი ბრძოლისა და ბრძოლის ასპარეზზე დალია სული.

მისი ლიტერატურული შრომის აღნუსხავს არ შეუდგებით. იგი იყო მუდმივი თანამშრომელი ჩვენი ,,მოგზაურისა'' და წინეთ ,,კვალისა'', და ყველა ჩვენი მკითხველი კარგათ იცნობს მის ნაწერებს. ის მიგვაჩნდა ჩვენ, მის გულდამწვარ ამხანაგებს, ერთ-ერთ საუკეთესო თანამშრომლათ და დარწმუნებული ვართ მკითხველებიც მჭიდრო კავშირს გრძნობდენ ამ ნორჩ და უდროოთ დაკარგულ მწერალთან. მისი ,,ნაწყვეტებიც'' სახელმძღვანელო წიგნათ არის გამზდარი დღეს იმათთვის ვისთვისაც და ვისთანაც ერთათ ბრძოლაში დალია სული განსვენებულმა ამხანაგმა.

ამით ვათავებ უძვირფასესი ადამიანის ბიოგრაფიას. ძნელია საზოგადოთ ასეთი მეგობრის ცხოვრების აწერა იმ დროს, როცა მისი ცხედარი ჯერ კიდევ არ გაცივებულა, მაგრამ ათასჯერ უფრო ძნელია ჩემთვის საშას ცხოვრების აწერა დღეს, როცა გონება ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ ჩემი საშა, ჩემი ძვირფასი მეგობარი, რომლის მთელ ცხოვრებას ჩემ თვალწინ გაუელია, აღარ არის! გულს და გრძნობას არ ჯერა რომ ეს უკანასკნელი ბაასია შენ პატიოსან ცხედართან. თვალ-ცრემლიანი დაყურებ ამ ფარატინა ქაღალდს და ვწერ სუსტ, უღონო სიტყვებს, რომელთაც მცირეთაც არ შეუძლია შენი სპეტაკი ბუნების და მრავალ ტანჯული ცხოვრების დასურათება! ვერ შევრიგებივარ იმ აზრს, რომ დღეს უკანასკნელათ ვიხილავ შენ სპეტაკს სახეს და დღეს უნდა გითხრა საუკუნო ,,მშვიდობით''!

ვერ მომიხერხებია შევურიგდე იმ აზრს, რომ ულმობელმა სიკვდილმა საუკეთესო ამხანაგი გამოგვგლიჯა ხელიდან. ძნელია ყოველი გამოსათხოვარი სიტყვის თქმა, ძნელია დარწმუნება, რომ ჩვენი საშა აღარ არის, რომ მას ველარ ვიხილავთ ბორკილებ-შეხსნილ ცხოვრებაში მონავარდეს, ვერ გავიგონებთ მის სუსტს, წყნარს, მაგრამ იდეის დაცვის დროს დავაში გაკაჟებულ ხმას! ველარ ვიხილავთ მის მშვენიერ,

დიდრონ, იდეის ცეცხლით აღგზნებულ თვალებს და ლახვარის მტყორცნელ მოელვარე გამომეტყველებას!...

ნუგეშათ გვრჩება მხოლოთ ის იმედი, რომლითაც გასალკლდევებულმა დალიე შენ დღენი შენნი—შენთან ერთათ ჩვენც გვწამს, რომ **„იდეა გაიმარჯვებს“** და ამით ნუგეშ ცემული გეთხოვები მეც ჩემო უძვირფასესო მეგობარო!...

ნ. ელიავა.

დაუვიწყარ საშა წულუკიძეს.

ძვირფასო ამხანაგო! შენი ხანმოკლე ცხოვრება გაუწყვეტელი ბრძოლა იყო. ამ მუდმივ ბრძოლაში ორ დაუძინებელ მტერს ებრძოდი შენ განსაკუთრებული თავგანწირულებით: პირველი მტერი იყო დღევანდელი დუხჭირი ცხოვრების აუტანელი პირობები, რომელთაც მონათ გახადეს თავისუფალი ადამიანი და ძალმომრეობის მუხრუჭს უშერენ ყოველივე ნათელს და პატიოსანს. ეს პირველი მტერი შენის და შენისთანა თავდაიწყებულ მებრძოლთა მეოხებით ილაჯგაწყვეტილი და ღონე მიხდილი გდია და დღეს თუ ხვალ წარსულის მოგონებათ გახდება. მარა შენ, გამარჯვებულო, ალარ გხვდა წილათ დამარცხებულის საფლავზე გამართულ მეჯლისში მონაწილეობის მიღება. ბედმა ალარ გარგუნა განახლებულ ცხოვრებას დასწრებოდი, რადგან მეორე შეუწყნარებელი მტერი გულქვა დარაჯათ დაგდგომოდა და საზარელი ცელი, დიდი ხანია, მომართული ქონდა შენს წინააღმდეგ. ეს მეორე მტერი—სიკვდილი იყო და ამ მტერმა დაგამარცხა შენ, გამარჯვებული... პირველ მტერს შენი ძლიერი სული ებრძოდა და სძლია კიდეც, მეორეს—შენი უძლური სხეული ჰქონდა ნიშანში ამოღებული და აქ მტერი გამარჯვებული გამოვიდა ბრძოლიდან. ძლევაოსილი სული და ძლეული სხეული! ასეთი ხარ შენ დღეს, ძვირფასო ამხანაგო!..

შენს დასაფლავებას მე ვერ ვესწრები. აქედან გეშვიდობები და ვეამბორები უკანასკნელათ შენს სპეტაკ ნაშთს, შენი ხსენება მუდმივი იქნება იმათ გულში, ვინც გიცნობდა. ცრემლით არ შეურაცხვყოფ შენს ცხედარს, რადგან შენისთანა გმირების გამოკლება ცეცხლივით ედება შენი ამხანაგების გულ-ღვიძლს და ბრძოლის წყურვილს უღვიძებს მათ.

თფილისი, 10 ივნისი.

შალვა შარაშიძე.

ომის ამბები.

ცუსიმას ბრძოლა,—ეს უსაშინელესი ეპიზოდია რუსეთის ისტორიაში! იქ, შორეულ აღმოსავლეთის ზღვის ჯურღმულში უსახელოთ ჩაიღუპა ათი ათასობით ახალგაზრდა ვაჟკაცი და ას მილიონებათ ღირებული ქონება! ცუსიმას ბრძოლა—ეს სამარცხვინო დალია ჩვენი მთავრობის ზურგზე დაკრული! იმ მთავრობის ზურგზე, რომელმაც თავის თავ მოყვარეობას ანაცვალა სამშობლოს სახელიცა და ინტერესებიც. რუსეთის ხალხი, ანუ ნამდვილ რუსეთი, მონაწილე არ არის ამ სიმარცხვინო სახელისა, ის მართალია და სახე ნათელი. რუსეთის დამარცხება არის მისი მთავრობის დამარცხება, ისე როგორაც მისი გამარჯვება იმავე მთავრობის მტარვალობის გამარჯვება იქნებოდა.

ცუსიმას ბრძოლა მძლავრ მუჯლუგუნივით მოხვდა მთელს საზოგადოებას, მიძინებულ რუსეთის საზოგადოებას და შეანძრია ის. ყოველი მხრიდან მხოლოთ პროტესტი გაისმის, პროტესტი თანამედროვე წეს-წყობილების წინააღმდეგ. გამოფხიზლებული საზოგადოება თხოულობს დაუყონებლივ ხალხის წარმომადგენელთა მოწვევას, რომ უკვე გზა აბნეულ ხელმძღვანელთ ჩამოართვან ქვეყნის მართვა გამგეობა.

ცუსიმას ბრძოლის ამბავი გლოვის ზარივით გაისმა მთელ დედა-მიწის ზურგზე და ერთხელ კიდევ შეაშფოთა იმის მოწინააღმდეგეთა წმინდა გულით. გაისმა ხმა ზარის [illegible] ერიკის შტატების პრეზიდენტმა, რუზველტმა, [illegible] სცა მეომარ სახე მწიფოებს მორიგებაზე მოლაპარაკება დაეწყოთ და როგორც ვიცით ორივე მხარემ თანხმობა განაცხადა. მაგრამ ვინ უნდა ჩამოაგდოს ზავი იაპონიასთან? ნუ თუ იმ ბიუროკრატიამ, რომელმაც ასე უაზროთ და უმიზეზოთ მოავლო ქვეყანას ასეთი უბედურება? ნუ თუ ის ჩინოვნიკები უნდა დარჩენ რუსეთის წარმომადგენელნი, რომლებმაც მხოლოთ თავისი კერძო საკუთრების შესარჩენათ დაღვარეს ამდენი უდანაშაულო ვაჟკაცის სისხლი? ნუ თუ იმ ბიუროკრატიულ მოხელეებს უნდა დავანებოთ ზავის პირობებზე ლაპარაკი, რომლებიც ასე ურცხვათ ცარცვავენ ხალხის სიმდიდრეს, სახელმწიფო ხაზინას? არა და არა! ზავი უნდა ჩამოაგდოს მხოლოთ და მხოლოთ ხალხის წარმომადგენლებმა.

მაგრამ რა საჭიროა ზავი! სწორეთ ქვეყნის სასაცილოთ გაგვხადეს ჩვენმა ჯარის უფროსებმა! განა სადმე გაგონილა ამის მსგავსი რამ! ან იმდენათ გაიტაცა ისინი უხრომო ჯამაგირებმა, რომ ყოველი ადამიანური ღირსება დაჰკარგეს, ან დამარცხებას გამარჯვებისაგან ვერ არჩევენ, ან არა და ჯარის კაცი უბრალოთ მანქანა ჰგონიათ, რომელიც წაიქცევა და მოირჩა.

ტელეგრამებიდან ვიცით, რომ როცა ზავზე მოლაპარაკების ამბავი გაუგიათ, ჩვენს მთავარ სარდლებს „სამხედრო“ თათბირი მოუხდენიათ და ომის გაგრძობა გადაუწყვეტიათ. „ვითომ რა მოსაზრებითაო“ იკითხავთ და სწორეთ ეს არის სასაცილო, თანაც სამწუხარო რომ არ იყოს. იმ იმედით, რომ ახლო მომავალში გავიმარჯვებთო! ღმერთო დიდებულო! განა ცოტა დრო იყო გამარჯვების უნარი რომ ჰქონოდათ! რას უცდიდენ დღემდე? თუ, ალარ ახსოვთ საზარელი ტიურენჩენი, ცინჯოუ, ვაფანგოუ, დაშიჩაო, ოიამაიანი, პორტ-არტური, შახე, მუკდენი და დასასრულ ცუსიმა? ნუ თუ ალარა სცხვენიათ ასთი თამამი კილოთი ტელეგრამების წერისა და ქვეყნის თვალში სამარცხვინო ვამპულათ გახდომისა? ეჰ, საბრალო რუსის სალდათო! შენ მსხვერპლი ხარ შენი უფროსების განცხრომისა!

რაც დრო მოდის იმდენი მეტათ და მეტათ ეხდება ფარდა მანჯურიის მინდვრებს და საზიზღარი სურათები ერთი მეორეს მოსდევენ. ცნობილი მრეწველი ბეზობრაზოვის საქმე, რომელმაც იალუს ნაპირებზე მოიკალათა, სახელმწიფო ფულები გაფლანგა და რუსეთ-იაპონიის უთანხმოებას დასაწყისი მისცა, მთელმა ქვეყანამ ერთი წლის წინეთ იცოდა, ჩვენ კი მხოლოთ ახლა გავიგეთ და ისიც ბუნდოვანათ, გაურკვევლათ. ასეთია ბიუროკრატიის ბუნება!

მაგრამ ნუ თუ არ კმარა ეს მსხვერპლი, ის ზღვა სისხლი უდანაშაულო პირთა, რომლითაც მოირწყო შორეული მანჯურიის მინდორ ველი! ნუ თუ არ კმარა ის ზარალი, რომელმაც უკიდურეს სიღარიბეში ჩააგდო ჩვენი ქვეყანა! ნუ თუ კიდევ ახალი სისხლი და ახალი ზარალია საჭირო? მაშ სად არიან ხალხის წარმომადგენელნი, რომ ბოლო მოუღონ ამ სისხლის ღვრას ამ უმეორთო და უმიზნო ქლეტას. დროა დამწაშავის სკამზე წამოსკუშდენ ის ვაებატონები, რომლებმაც ქვეყნის ღალატით დაიმსახურეს ეს! დროა სინათლე შევიდეს ბიუროკრატიის ბნელ სამეფოში. მაშ გაუმარჯოს რუსეთის დამფუძნებელ კრებას!

„ვ. კ.“

დეპეშა.

ოზურგეთი. ღრმა მწუხარების გრძნობით მიეგება ოზურგეთის ახალგაზრდობა ალექსანდრე წულუკიძის გადაცვალების ამბავს. მუდმივმა დაუღალავმა ბრძოლამ უკეთესი მერმისისათვის ძალ-ღონე გაუტეხა მას და უდროოთ გამოაკლო ამხანაგებს ერთი საუკეთესო მებრძოლთაგანი.

სხვა და სხვა ამბები.

8 ივნისს, ქ. ქუთაისში ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გადაიცვალა ჩვენი რედაქციის წევრი და შუამავი თანამშრომელი ალექსანდრე წულუკიძე. მიცვალებულის დაკრძალვა მოხდება დღეს, დაბა ხონში, სადაც გასვენებენ ქუთაისიდან დღესვე, დილის 9 საათზე.

— 3 ივნისს ტფილისის სასამართლო პალატამ განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებ ალექსანდრე კორძაიასი, რომელსაც პოლიტიკური დანაშაულობა ბრალდებოდა. კორძაიას უნახეს პროკლამაციები ქართულ ენაზე. პალატაში გამოირკვა რომ ბრალდებული წერა-კითხვის უცოდინარი ყოფილა, სადღაც პროკლამაციები უპოვნია, შინაარსის მნიშვნელობა არა სცოდნია და შეუნახავს. პალატამ კორძაია გაამართლა.

— ტფილისის მცხოვრები ანდრეევი პასუხის გებაში მიუცია, როგორც პოლიტიკური დამნაშავე. ანდრეევს ბრალდებოდა უმაღლესი პირის სიტყვიერით შეურაცყოფა. პალატამ ეს საქმე განიხილა და ბრალდებული გაამართლა.

— გაჩხრეკის დროს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებს ლევან მარსაგაშვილს ამოაჩნდა ერთი ყუთი პროკლამაციები, ბროშურები და ჟურნალები. ყველა მთავრობის საწინააღმდეგო შინაარსის იყო. მარსაგაშვილი, როგორც პოლიტიკური დამნაშავე, პასუხის გებაში მისცეს. პალატამ ეს საქმე 4 ივნისს განიხილა. დამნაშავეთ იცნო ბრალდებული და გადაუწყვიტა 10 თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

— 4 ივნისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე რაჭის მაზრის მცხოვრების ივანე კერესელიძისა, რომელსაც პოლიტიკური დანაშაულობა ბრალდებოდა. ამ წლის 23 იანვარს კერესელიძე მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციის დროს ვითომ წითელი ბაირაღით ხელში ათასზე მეტ მუშას უძღოდა. კერესელიძესთან ერთათ დააპატიმრეს 36 კაცი, მაგრამ მათ არავითარი დანაშაულობა არ დაუმტკიცდათ და გაანთავისუფლეს. პალატამ დამნაშავეთ იცნო კერესელიძე და ოთხი თვით საპყრობილეში დაპატიმრება გადაუწყვიტა, მაგრამ, რადგან ბრალდებული საპყრობილეში ამაზე მეტ ხანს იყო, იგი გაანთავისუფლეს. (ცნ. ფ.)

— 7 ივნისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ ჭაარჩია საქმე ჯარის-კაცების გეურკ აივაზიანის და ლეიბ გრენადერის პოლკის ჯარის-კაცების მარტიროს პეტროსიანისა, იეღიშე თანგულიანისა, მისაქ იგითხანიანისა, ტიგრან ნაჰაპეტიანისა და ალექსანდრე მანახიანისა რომლებსაც ჯარის კაცებს შორის მავნებელ პროპაგანდის გავრცელებას აბრალებდენ. საქმე ხალხის დაუსწრებლად გაირჩა. განაჩენი გამოიტანეს ღამის $1^1/_2$ საათზე. აივაზიანსა და პეტროსიანს თითო წელიწადი ციხეში ჯდომა მიუსაჯეს, ხოლო დანარჩენ ბრალდებულებს—ოთხ-ოთხი თვე. ბრალდებულთ იცავდენ ნაფიცი ვექილები: ვრუზენბერგი, იოსებიანი და დოლუხანოვი.

— გუშინ-წინ ღამის 12 საათზე, ანტონისა და ავჭალის ქუჩების კუთხეში, სასიკვდილოთ დასჭრეს ორი პოლიციელი: ანტონ დარგინი და დიმიტრი ალეკინი. პირველი პოლიციელი დუქანს აკეტინებდა, მეღუქნეს, ამ დროს დაახალა ვიღაცამ რევოლვერი და მიიმალა. მეორე პოლიციელი დაიჭრა მიშველების დროს. ანტონ დარგინი გარდაიცვალა.

— 9 ივნისს გაიფიცენ ,,კახელ მევენახეთა საზოგადოების კანტორაში მოსამსახურენი. გაფიცვა გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: წინეთ, აღნიშნული საზოგადოების წევრები მოსამსახურის მიღება დათხოვნას მოსამსახურეების შეთანხმებით ახდენდენ. დღეს კი ახალი წევრის, თავადი ნიკოლოზ ილიას ძე აბაშიძის შემოსვლით ეს ჩვეულება მოისპო. გაფიცულები ამ უფლების აღდგენას მოითხოვენ

მეორე დღეს, ათ ივნისს გაიფიცენ ამავე საზოგადოებაში მოსამსახურე მუშები, რომელნიც კანტორაში მოსამსახურეთა დაკმაყოფილებას მოითხოვენ.

— ვარშავიდან იუწყებიან: 5 მაისს ჩენსტოხოვში ბომბა ესროლეს პოლიციმეისტერს და მძიმეთ დასჭრეს.

— 28 მაისს კოვარდსკაში ვილკომირის მაზრაში, მკვლელს ურიადნიკი მოტყულევსკი. ამ მკვლელობას დამოკიდებულება აქვს ბოქაულისა და საერობო უფროსის მოკვლის განზრახვასთან: ხსენებულ პირების მოკვლა უნდოდათ, როცა ისინი პოლიტიკურ დამნაშავე ძიძულას ატუსაღებდენ.

— მაკარიევიდან იუწყებიან, რომ 8 მაისს ბრანდტის ქარხანაში 400 მუშა გაიფიცა.

— ფეოდოსიაშიაც გაიფიცა პორტის მუშები, რომლებიც ხელ-ფასის მომატებას მოითხოვენ.

დაბა—სოფლის ამბები.

ქ. გუნჯულინი. ბევრი გვა-ვაგლახის შემდეგ მოვაღწიეთ ხარბინამდე. ხარბინი დიდი ქალაქია, მდებარებს სწორ-ვაკე ადგილას სუნგარის მარჯვენა ნაპირზე და შესდგება სამი დიდი ნაწილიდან: ძველი ქალაქი, „ჰრისტანი“ და ახალი ქალაქი, ანუ «კორზუნსკი გოროდოკი». მთელი ეჯვრობა ხარბინისა წარმოადგენს ძველ ქალაქსა და ჰრისტანში: აქაა მოთავსებული კანტორები, მაღაზიები სასტუმრო-სასადილოები, ბაზარი და სხვა. ქუჩები აქაც სწორი და ფართოა, მაგრამ მოუკირწყლავი და ამიტომ ძლიერ ტალახიანი; საკმაოა ერთი დღის წვიმა, რომ მთელი ეს ნაწილები გაუვალ ტალახებით გარდაიქცეს. ამ ნაწილებში ცხოვრობს უმეტესი ნაწილი ხარბინის ძველ მკვიდრთა, თუმცა სახლები უმეტესობით ევროპიულ სტილზე არიან აშენებული აგურისაგან, შეგხვდებათ აქ-აქ ჩინური შენობებიც თავისი მაღალი ხის ზედუდეთი, ჩაკეტილი ეზოებით დამახასიათებელი. ამ ნაწილებში დიდი მოძრაობაა. რომ გაიხედავთ ქუჩებში, ჩვენებური ირმუკობა მოგვგონდებათ. ახალ ქალაქს უჭერია ვეებერთელა ადგილი ვოკზლის მარჯვენივ და შესდგება სამხედრო სამართველოებიდან და გასართობების ბინაკებიდან: აქაეც მოთავსებული ადმოსავლეთ-სიბირის ჯარების ყველა სათადარიგო ბატალიონები. აქაც ჩერდება რუსეთიდან მომავალი ჯარები და ოფიცერ-ჩინოვნიკები სათადარიგო ბატალიონების ბარაკებში. ეს ნაწილი შესანიშნავია თავისი დაგანტულობით და მოწეობლობით; აღსანიშნავია აგრეთვე ისა, რომ აქ იშვიათათ შეხვდებით ჯარის კაცს, რომ გადაკრული არ იყოს. ყველას სახეზე ეტყობა, ხარბინში ყოველ დღე ნამდვილი ჭომარიული მეჯლისი უნდა სრულდებოდეს. წრეს გადასული დოთობა და მასზე აშენებული მრავალი სხვა და სხვა უმსგავსობა უმეტესათ ხდება ღამით, საბანელის მოკრეულობის ქვეშ. აქაური სპეციალურ-კარტერები დოთობისთვის დასჯილთაგან არიან სავსე. სასადგომოთვალების გენერიული განაოფილებები ხომ მუდამ გავსებულია და გავსებული. სასჯელთა შორის ძლიერ ხშირია „ოცდა ათი დღე და ღამე მკაცრი დატუსაღება“. სკამენდანტოში თითქმის ყოველ დღე ხედავთ დატუსაღებულ ხმლებს ათეულობით.

ხარბინის გაგზადში და ბევრ სხვა სასტუმრო-სასადილოებში აქაური უმთავრესი ნაჩანჩალისაგან კრძალულია არაყის ყიდვა! თითოეულ ქალაქს თავთავისებური კანონ-განკარგულება აქვს. უნდა ვთქვათ, რომ ეს თავისებური განკარგულებანი ხშირათ ორ აზრად ვანი და გაუგებარია, ამიტომ სიბანელისა და თვითნებობის მოყვარენი შეენიშნათ სარგებლობენ ამით და ხან მარცხნით და ხან მარჯვნით უხვევენ გზას „კანონებს“. აქ თვრამეტამდე სათადარიგო ბატალიონი დგას და თითოეულის უფროსი თავისთ ჯარის კაცებს თავისებურათ აკმაყოფილებს: ერთი ომში მომავალ ბიცერს აკმაყოფილებს ბრაგონით და ჯამაგირით და სრულიათ უარს ეუბნება „ბორციონზე“, არ გეკუთვნისო; მეორე აძლევს ბორციონს და „ბრაგონს“, ჯამაგირზე კი უარს ეუბნება; ნება არა გვაქვსო მოგცეთო; მესამე აკმაყოფილებს როგორც ჯამაგირით, ისე „ბრაგონით“ და „ბორციონით“.

ერთი სახარჯო ფულის აძლევა მოწერილობაში აღნიშნულ დროდან მანჯურიის სადგურამდე, დღე და ღამეში 2 მანეთს, სად. მანჯურიადან კი 4 მანათს. მეორე—მოწერილობაში აღნიშნულ დროდან სულ 2 მანათს ანგარიშობს დღე და ღამეში, ასე რომ „სად. მანჯურიადან დაწეებული გინახევრებს „ჰორტიონის“ ფულს! ასე იქცევა მაგალ. მე-5 ბატალიონის უფროსი! მთელი რუსეთის ათიერება აქ, ბრძოლის ველზე, ორ რიგათაა დაყოფილი: მუდმივი ოფიცრები და სათადარიგო ოფიცრები. რამდენათ ბირველს ეურადღებით და ვითომ კანონიერათ ექცევიან, იმდენათ მეორეს აბუჩათ იგდებენ; მისს თხოვნას უეურადღებოთ სტოვებენ, იმათ სავალდებულო და კანონიერ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებენ და ამავე დროს თხოულობენ იმავე დისციპლინას, იმავე საქმის ცოდნას და ასრულებას, როგორც მუდმივი ოფიცრებიდან. შესაფერათ საქმის არ ცოდნა, რაიმე შეცთომა ნებსითი თუ უნებლიეთ, დისციპლინის დარღვევა იწვევს იმავე სასჯელს და ხან უსასტიკესსაც, როგორც მუდმივი ოფიცერის მოქმედება. დაკმაყოფილება კი, როგორც ჩანს, ბევრით განსხვავდება. მუდმივი ოფიცერი სარგებლობს ეოველივე შეღავათით, ოტპუსკით და სხვა, სათადარიგო კი არავითარი შეღავათით, ხშირათ არც ოტპუსკს აძლევენ, რა გინდ საჭიროება იწვევდეს ამ ოტპუსკს. ტეეილათ კი არ შეუთხზავთ ანდაზა: „ქათამი არაა ფრინველი, ქალი—ადამიანი, ბრანჯოლეი—ოფიცერი და იმისი ცოლი—ქალბატონი, რომელსაც შეიძინის ტარებაც კი აკრძალული უნდა ქონდესო!»

სამხედრო კანონები კი სრულიათ არ არჩევენ იმას, სათადარიგოა თუ მუდმივი ოფიცერი, როცა საქმე დისციპლინის დარღვევასა და სასჯელს შეეხება, ის ორივე შემთხვევაში ერთნაირ სისასტიკეს ახენს!...

4 დღის ხარბინში ეოფნის შემდეგ გავემგზავრეთ გუნჯულინში; ჩვენ ბარაკიდან სადგურამდე 4—5 ვერსის მანძილია. ვეიქარავერ დროგი ნაეთებისათვის, დავტოეეთ თანმხლებლებთ ერთი ამხანაგთაგანი და დანარჩენი წავედით სათოსტო დაწესებულებებში ჩვენს სახელზე მოსულ წერილების საძებნელათ. ჯერ ზურგის ჯარის შტაბის საკომენდანტო განყოფილებაში შევედით, სადაც ჯარის კაცთა სახელზე წერილები ინახება, სანამ მოითხოვენ. თუმცა წერილები აქ ალფაბეტურ უკრებშია მოთავსებული, მაგრამ ერთმანერთში ისე არეულია, რომ იქ წერილის ნახვას ერთი დღის შრომა უნდა. და ჩვენც რასკვირველია ვერაფერი ვეპოეეთ, აქედან სათოსტო კანტორაში წავედით. აქ ხომ წერილებისათვის მთელი კარგა მოზრდილი ოთახია დაქირავებული, მაგრამ აქაც ისე არეულა საქმე, ისე ბევრი დრო სჭირია წერილების მოსანახავს, რომ სწორეთ ამისთვის უნდა მოიცალოთ მეტი თუ არა ერთი-ორი დღე მაინც. აქედანაც ხელში ჩაეა გამოვლებული წავედით ქალაქის საკომენდანტოში, შემდეგ თვით ეოსტაში, მაგრამ... ეველგან ერთი და იგივე ბაბილონის კოდილი დაგვხდა. ბევრი ამოით დავარგული შრომის შემდეგ ეოგზალში წავედით, რომ წაესვლელი მაინც არ დავრჩენოდით ქვეით. ეოგზალზე ვისადილეთ, თუ შეიძლება სადილი ეუწოდოთ ამ ერთ მისხალ სადილს, რომელიც ჩვენ შევჭამეთ. ამ მხრით ბუფეტის ხატრონი იპონელების თავკანის მტკიცე ეოფილა. (იპონიაში სულ მცირე საქმელით კმაეოფილდებიან). ფასი კი სადილის ნამდვილი რუსული გამოგვართვეს და არა იპონური,—აქ ხატრიოტიზმი აშკარათ სჩანს!

როგორც იქნა გამობრძანდა ეოგზალის კომენდანტი და ჩაგვსხა ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, დაგვაწყო გუნჯულინში მიმავალ ვაგონებში, ისე გავსებული იეო მატარებელი ოფიცრებით, ქამებით და ჩანოვნიკებით. 6 საათზე კავშორდით ხარბინის ეოგზალს და გავედით ტრიალ მინდორში. ეს მინდერები საუნე ადგილებია; აქაიქ ხნავდენ კიდეც, მაგრამ მეტი ნაწილი ჯერ კიდევ შეუმუშავებელია. ხნავენ ჩინელები ჩვენებური კავ-სახნისით, რომელშიც უბია ხან ორი ცხენი და ერთი ხარი, ხან სამი ცხენი და ერთი ხარი, და, ხან ხუთი-ექვსი ცხენი და ორი ხარი.

ჩინელები ოესავენ კაოლიანს და ჩამაზას. ბირველი სწორეთ ჩვენებურ „ხაზარულას“ მოგაგონებს, მეორე კი დომსა გვეს. სოფლები ზოგი კაფანტული მოსახლეებიდან შესდგება, რომელიც იმერეთისა და გურია-სამეგრელოს სოფლები, ზოგი კი ქართლ-კახეთის სოფლებსა ჰგავს. ხე-ტყე ძალიერ იშვიათია; შენობები-ფანზები კაოლიანის ღეროსაგან დაწნული, თიხით შელესილი ქოხებია, კაოლიანისავე ღერობით დახურული. ფანზას გარშემო გადაეანი არტეია, ამგვარს ეზოს აქ „ინჰანს“ ეძახიან. სახლების წინა კედელზე ფანჯრები აქვთ გამოჭრილი, რომელშიც შუშის მაგიერ გაქონილი ქაღალდია გაკრული. ასეთი მინებია ჩასმული კარების ზედა ნახევარში. ჩინელი ქალები არსად სჩანან. რკინის გზის ბოლკები ნამდვილ ციხეს მოგაგონებთ: გარშემო გადაეანი არტეია და გადაენის კედელში სათოეე ჭუჭრუტანებია გაკეთებული. ხარბინიდან გუნჯულინამდე 290 ვერსია, ხოლო კუანჩენცამდე 230.

კუანჩენცში ვიხილეთ დატეეებული ხუნხუზები, და ნაწამები ხუნხუზის გვამი, რომელიც ძალების დუკმათ დაეგდოთ: არც კი დაესაფლავებიათ. იმავე დამეს (24 აბრილს) დასწვეს აქ სანტენდანტო საწეობები, რომლებიც იწოდა თითქმის დილამდე, ამბობდენ ხუნხუზებმა დაწვესო. ეს ხუნხუზები ჩინელებისგან არავითარ განირჩეიან: შეკტანისა, ულამაზო, მოხოლოდ ტიპის ბირისახით, გრძელი ნაწნავი თმით, ისინი ნამდვილი ჩინელები არიან, მხოლოთ განსხვავებაან იმითი, რომ სასჯელს გაქცეიან და ავაზაკობენ, სანამ არ დაიჭერენ და თავს არ წაჭრიან. სალამოს 3 საათზე 27 აბრილს მოვედით გუნჯულინში. ბირველათ ვინახულეთ კომენდანტი, რომელმაც ოფიცერთა თავშესაფარი გვაჩვენა, სადაც დამე უნდა გაეგეთია. ეს თავშესაფარი წარმოადგენს მიწაში გაკეთებულ ბარაკს, სიგრძით 20 ს. აქნება, განით ხუთი. სიგრძის დაყოლებაზე ოთხრიგათ გაწეობილია საწოლი ნარები. არაა ისეთი დრო, რომ ამ ნარებზე ალაგი იეოს. ჩემოდანი, ტომარა, ნაბადი, თოე-იარადი, ლოგინი,—ეველა ეს ერთი მეორე მიერილ-მირთხვილი, არც რიგი და არც წესი. ამას დაუმატეთ ასობით ხალხის დაბარაკი, ხმაურობა, სიმღერა, გიტარისა და სკრიპკის ხმები და თან სმა, სმა გუთავებელი, დასრულებელი: დილით, შუადღით, სალამოთი, ხან ჩაი, ხან არაყი და ღვინო და ადგილათ წარმოიდგინეთ ამ თავშესაფარის სურათს. დილითი ტოტა დაცალიერდება ალაგები, მაგრამ სალამოს ისეე გაეესება. ძალიან გახშირებულია ბანქოს თამაში: 1000 და 2000 მან. წაგება ან მოგება ჩეეულებრივია.

გუნჯულინი ნამდვილი სოფელია, ვაკე ალაგს გაშენებული და არათრით შესანიშნავი არაა, გარდა იმისა, რომ დიდი სიძვირეა მეგალაეერზე: შაქარი ათი შაური ჯირგანქა, კვერცხი ერთი შაური, ბური ჯირგანქა 15 კაპ., ბორცია საკმელი 1 მან. და მეტი, მხოლოთ ჩაის იაფი. ამ სიძვირის დროს დარიბების თავის დასახწევათ სეეხონომიო სახოგადოებაა, სადაც საქონელი მოსკოეის ფასებზე იეიდება თითქმის. მაგალ. შაქარი—18 კაპ. ჯირგანქა. მაგრამ ამ სამხატეურ დაწესებულებას აქაური ვაჭრები მტრათ გარდაქცეიათ და ეოველ დღეს ხმაობენ რამე ავნონ. მაგალ. ამბობენ ფულს ნაცნობ ჯარის კაცთ, აიღვანებენ რაიმე საჭირო საგანს, მაგალ. შაქარს 18 კ., თითონ ამბობენ მეიღებენ 20—25 კ. და ჩეიღიან კი 50 კაპ. ამიტომ სახოგადოებას მაღე აკლდება სურსათი და საჭირო საგნები დამხმარებელი მაინც სწორეთ რომ ცეცხლში აწეის; აქაური ვაჭრებს შეადგენენ ათერასთეის მოსული სხვა და სხვა საქმო პირები, რომლებიც სხეისი გაჭირეებით სარგებლობენ, რომელთაც ხალხის ჭირი თავის დიანათ გაუხდიათ. გაჭირეებს კი აქაურ ჯარში გაუხშირებიათ.

აქ გავრცელდა ხმები, რომ ახლო მომავალში უეჭეელათ შეტაკება მოხდება, რადგან იაპონელების წინა ჯარმა ტელინიდან კარგა შორს წაიწია წინაო. 26 აბრილს აქ ხარბინების ხმებიც ისმოდა. ამბობენ, მარცხენა ფრთაზე ჩვენი ჯარისა უკეე დაიწყო ბრძოლა და 25—26 ბრძოლაში 800-მდე დაიჭრაო. თან ამბობენ, მაშინ-

კომ იაპონელებისაგან წერილი მიიღო, 15 მაისს ხარბინში ვისაუბებთო: როგორც სხვა დროს არ მოგვიტუუილებიხართ, არც ეხლა მოგატუუილებთო. რამდენათ მარწმუნა ეს ხმები, ადვილხმა უწეს. ხმა დადის აგრეთვე, რომ გენ. მაშჩენკოს თავი 30,000 იენათ ვრის დაუსებულიო. სულთით აქ ელიან მაისის კამპანიის ხსნა მომავალში. რუსეთიდან აქ გაგზავნილ სათადარიგო ჯარის კაცზე ძლიერ ცუდი აზრის არიან: არც დისციპლინა, არც საქმის ცოდნა, არც ბრძანების სრულება მათ არ ეხერხებათო. მუკდენის ბრძოლის დროს იაო შემოხვევა, რომ ჩვენი ჯარი ჩვენსავე ჯარს ზარბაზნებსა და თოფებს ესროდაო. მუკდენის ბრძოლის მნახველი ოფიცრებიც ამტკიცებენ, რომ ეს ნამდვილია: იაპონელებზე მეტი ზარალი ჩვენმა ჯარმა მოგვაყენა უკან დახევის დროს, როცა ჩვენი ჯარი აირია და შიშით თავისიანი მტრებად მიიღო. სახოგადოთ მუკდენის ბრძოლა რადაც ბურანი, „კოშმარი“ იყოო.

—

საროყამიში. 4—5 წელია მას შემდეგ, რაც აქ დღიურ და თვიურ მომუშავე სხვა და სხვა ეროვნების მუშები გაჩნდა. ეს მაშინ, როდესაც მთავრობამ რამდენიმე მილიონი მანეთი გადადო კაზარმების ასაშენებლათ. მუშათა რიცხვი უწინ 2000 აღემატებოდა. ეხლა-კი, როცა კაზარმები დასრულეს და ტიტა სამუშაო დარჩა, იმათმა რიცხვმა იკლო.

მუშები დაყოფილია თავის ბრძოლიის მიხედვით: დურგალი, მჭედელი, ფეიქარი და სხვა. მუშებზე უფროსათ დანიშნულია რაიდჩიგები. რაიდჩიგი ადევს შესაფერ სამუშაოს, ურიგებს მასალას (მასალა სახელმწიფოსა), ადევს კამკაფრს. ერთი სიტყვით მუშას რაიდჩიგთან აქვს საქმე, ხოლო რაიდჩიგი დამოკიდებულია კომისიაში მთავრობისაგან დანიშნულ პირებისაგან, როგორიცაა ინჟენერი და სხვა...

ამ წერილში მკითხველს გავაცნობ სამ რაიდჩიგს: კლიუჩნიკის, ეთემოვს, და მეტრახინს, ხოლო ჯერ ვიკითხოთ: რატომ კლიუჩნიკინი, ეთემოვი, მეტრახინი დანიშნეს მუშების უფროსათ და არა სხვა? წინათ ესენიც ხომ უბრალო მუშები იყვნენ: საქმე ისაა, რომ მეტი ფულის მოგების სურვილი მოსვენებას არ აძლევდა, ამისთვის სინიდის-ადამიანობაზე ხელი აიღეს და ფულში გაეიდეს. უფროსების წინაშე გაწმენდილი იდგენ, მორჩილებით დაბრკობდენ, ერთი სიტყვით ჯაშუშობით დამსახურეს რაიდჩიგის სახელი და გახდენ თავიანთ ძმების უფროსებათ. მუშებს სამუშაოს მიხედვით მთავრობისაგან დანიშნული აქვთ დღეში 1 მან. 80 კაპ., 1 მან. 60 კაპ. და 1 მან. 40 კაპ. კომისია ფულს აძლევს რაიდჩიგებს, რაიდჩიგები მუშებს ურიგებენ; ამ რიგათ მუშამ ზემოთ დასახელებული ფული უნდა მიიღოს სრულათ, კლიუჩნიკინები-კი თავისებურათ იქცევიან: ვისაც 1 მან. 80 კაპ. ერგება—მას 1 მან. 60 აძლევენ, ვისაც 1 მან. 60 კაპ.—1 მან. 40 კაპ., და ვისაც 1 მან, 40 კაპ.—1 მან. 10 კაპ. რაიდჩიგები თითო მანეთზე მუშისაგან იღებენ 30%-ს. ამნაირათ 20 კაპ.+30% (1 მანეთზე) მუშის ხვედრი ფული რაიდჩიგის ჯიბეს ემატება. რადა უნდა დარჩეს მუშას?—შიმშილი (თავის ოჯახის), სიცივე, უტან-ფეხობა, არა ადამიანური ცხოვრება. რაიდჩიგს?—თავისი ჯამაგირი და მუშების ხვედრი ფული. მუშები ხედავენ ამ უსამართლობას და დიდხანს ითმენდენ, მარა მოთმინებასაც თავის საზღვარი აქვს, საერთო გაწყრომამ ხმა ამოაღებინა და დღეს მუშაობაზე უარს ამბობენ... 16 მაისს სობორის გუშბათზე ორი კაცი-და მუშაობდა. ავედი მათთან და გკითხე, სად არიან დანარჩენი მუშები მეთქი. მუშა ტერენინმა და ცარიოვმა ნაღვლიანათ მიამბეს ზემოთ დასახელებული რაიდჩიგების ეთემ-გასავლობა და კიდევ დაუმატეს: ერთი წელია აქ გმუშაობთ, რუსეთიდან სარჩოს საძიებლათ აქეთ გადმოგვრეკა ბედმა, ცოლ-შვილი ჩვენი შემუურეა, ვითიქრეთ ორ-კაპეიკს ვიშოვნით, ცოლ-შვილსაც და თავსაც დავარჩენთო, მარა ჩვენი ბატონი რაიდჩიგები, რაც გვერგება იმას არ გვაძლევენ: 1 მანეთზედ 30% გვართმევს. ოფლში ვიწურებით, აქ ჩვენ ვწვალობთ, თავი ვერ გამოგვეგებვს, სახლიდან-კი წერილი მოგვდის: მალე ფული შემოდით გვითვებითო... წავალთ, მარა გზის ფული, რომ გვქონდეს, საიდან გვექნება? აი ხომ ხედავთ რა სამძიმეზე ვმუშაობთ? რომ გადმოვრდეთ მიწაზე სული არ დაგვეგება... მერე შეეკითხე: რატომ არ მუშაობენ თქვენი ამხანაგები?—რისთვის უნდა იმუშაონ? აკი გითხარით რაიდჩიგები ფულს არ გვაძლევენ! დღეს ამხანაგებმა მუშაობას თავი კიანებეს, თუ დღეს დაგვანებებს, ტიტა სამუშაო დაგვრჩა—ხვალ ჩვენც დავეთხოვით, წავალთ სამუშაოს სამებნელათ ან უარსში ან ალექსანდროვოლში, შემშიდით არ მოვკვდებითო. მართლაც მეორე დღეს 17 მაისს ტერენინმა და ცარიოვმაც კიანებეს მუშაობას თავი.

ეთემოვს კომისიისაგან ბოდრიადათ აღებული აქვს რკინეულობის დამზადება, დღეში კომისია აძლევს ეთემოვს 6 მ., 1 ფუთ რკინაში მუშებს (რამდენიც უნდა იყოს) აძლევს ეთემოვი 1 მ. 30 კ. ეთემოვის ხელქვეითი არის 10 მუშა ვსთქვათ. 10 მუშა დღეში დაამზადებს არა უმეტეს 3 ფუთისა. რიაღჩიკი დებულობს დღეში 6 მ., ხოლო 10 მუშას 3 ფუთის დამზადებაში აძლევს 3 მ. 90 კ., ამ რიგათ ეთემოვს დღეში წმიდა მოგება რჩება 2 მ. 10 კ. ეს დღეში. თვეში 10 მუშა დაამზადებს 90 ფუთ რკინას, რიაღჩიკი 90 ფუთ რკინაში დებულობს 180 მ., ხოლო 10 მუშას თვეში ხვდება 117 მან., თითო მუშას თვეში 11 მ. 70 კ. თვეში წმინდა მოგება ეთემოვს 63 მ. რჩება. ამას მიუმატოთ 30%, რასაც ეთემოვი იღებს მუშების ხვედრ თითო მანეთიდან და მაშინ ნათლათ დავინახავთ, თუ რა უბედურ, აუტანელ ადგომარეობაში იმყოფებიან მუშები... მუშის ფულით ესკულაციამ 1500 მან. სახლი იყიდა სარაიამაშში, წელს კი კვეკვაში 6000 მ. იყიდა მეორე სახლი. გარდა აღნიშნული საშვალებისა, მუშების გასატყავებლათ სხვა ხერხიც გამონახეს ჩვენმა რაიდჩიგებმა, სახელდობრ დუქანი. ამათ გამართეს მუშებისათვის სავაჭრები და ნასიათ საქონლის მიცემით გაუთავებელ ვალებში ჩააგდეს მუშების უმეტესობა.

რუსეთის ქრონიკა

— გაზ. „სევ-ზაპ. კრ.“ არკვევს იმ კითხვას, თუ როგორ უნდა უყურებდეს ომს მუშა ხალხი, პროლეტარიატი, რომელიც ხალხის სამკლავრეს ქმნის თავისი ოფლით.

„პროლეტარიატს არ იზიდავს სამხედრო დიდების მოხვეჭის სურვილი,—ამბობს გაზეთი.—სხვა და სხვა ქვეყნების პროლეტარიატი არ ებრძვის, არ ემტერება ერთმანეთს, როგორც ბურჟუაზია, რომელიც ხარბათ დაეძებს ბაზარს თავისი საქონლისათვის. როდესაც ბურჟუაზია თავის დევიზათ სავაჭრო მტრობის ნაციონალურ ეგოიზმს აცხადებს,—ამ დევიზს პროლეტარიატი უპირდაპირებს ძმური ერთობის მოწოდებას: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!“

შორეულ აღმოსავლეთში უსარგებლო ქიდეტის წინააღმდეგ მოზღვავებულ სახოგადო პროტესტში თან და თან უფრო ხმა მაღლა მოისმის მკაცრი ხორო რუსეთის პროლეტარიატისა. ან კი რას უნდა ეძებდეს პროლეტარიატი იქ, მანჯურიის ველ-მინდორზე, მან კარგათ იცის, რომ მისი საქმე აქ, რუსეთშია; და სწორეთ აქ ემზადება იგი, რათა არსებულ სახოგადოებრივ პირობებთან ბრძოლაში გასწორების დროს, რაც ძალიან ადრე იქნება, ბიუროკრატების და ბურჟუაზიის მოწუსრიგებულ ძალებს თავისი შეერთებული ძალა დაუუნთოს წინ. აი, სად არის პროლეტარიატის ნამდვილი ინტერესები, აი ის ბრძოლა, რომელშიაც ის მომაწილეობას მიიღებს თავისი პროლეტარული იდეალების დასაცავად.

— გაზ. „Independ. Belge“ რუსეთის ახლანდელ მდგომარეობის შესახებ შემდეგს ამბობს:

რუსეთის მდგომარეობა ამ ჟამად ისეთია, რომ ვერაფერი ვერ უშველის მას. ისე სწრაფად და ისე მძაფრად დაეცა ის ბოლიტიკურად, რომ ვერავინ ვერ წარმოიდგენდა ამას; რა გინდ ცუდი აზრის ეოფილიეო რუსეთის შესახებ. სრულიად მართალია ის გერმანელი გაზეთი, რომელმაც თქვა, რუსეთი მეორე ხარისხოვან სახელმწიფოს საფეხურამდე დაეცაო. რუსეთს არა ჰქონია ფლოტი, რომ ევროპის ნაბიჯები დაიცვას, ჯარმა კი თვალერ მაინც დაამტკიცა თავის უკარგისობა. ასე რომ ამ ჟამად რუსეთი მეტად ვერ დაიცავს თავის უფლებებს ევროპის რომელიმე სახელმწიფოს განზრახვათა.... (ს. ო.).

— ამ უკანასკნელ ხანებში რუსეთის სიზოგადოება, რომელსაც ასეთ გაჭირვებულ დროს არ სურს მხიარულობა, პროტესტს აცხადებს მუსიკის წინააღმდეგ; მაგ. ამ დღეებში პეტერბურგში ორ ადგას შეაწყვეტინეს მუსიკა.

— პეტერბურგში ნევის ძაფის ქარხანაში, რომელიც შტიგლიცს ეკუთვნის, მუშებმა 9 საათის სამუშაო დღე მოითხოვეს $11^1/_2$ საათის მაგიერ. ქარხნის პატრონი ხურავს ქარხანას, რადგან მუშების ხელოვნის დაკმაყოფილება არ შეუძლია.

— ნაფიცი გემქალი ბერნშტამი დაუბრუნდა თავის თანამდებობას. მას ბრალი ედება სისხლის სამართლის დებულების მე-126 მუხლის ძალით. ნაფიც გემქალი ვინაგრიც ამავე მუხლის ძალით უნდა გასამართლონ, რადგან ადგოკატთა კავშირში მონაწილეობა ბრალდება.

— სარატოვის საბჭოს შემდეგი ტელეგრამა გაუგზავნია მინისტრთა საბჭოში: „თქვენო ამშვერატორობითი უდიდებულესობავ! სარატოვის საბჭომ, რომელსაც ძალვრათ უღვიძის სიეკვრულის გრძნობა სამშობლოსა და ტახტისადმი, რომელიც რუსის მოქალაქეთ წმინდა მოვალეობას ასრულებს,—27 მაისის სხდომაზე ერთხმათ დაადგინა გამოგიცხადოს თქვენ, ხელმწიფეც, თავისი მტკიცე რწმენა, რომ მხოლოთ ხალხის წარმომადგენელთა დაუყონებლივ მოწვევას შეუძლია განსაცდელისაგან დაიხსნას ძვირფასი სამშობლო, და დაუყონოს დიდებული ხალხი შესაფერ გზასე. ხელმწიფეო, დაჩქარეთ თქვენი ბრძანება შესახებ ხალხის წარმომადგენელთა მოწვევისა. ეოველი წამი დაეონებისა—სამშობლო არის, რადგან შეიძლება საშინელება რამ მოხდეს".

— 30 მაისს პეტერბურგში, ვასილიევის კუნძულის კოსაია ქუჩაზე მოხდა ბალტიის ზავოდის მუშათა კრება. 6000-მდე მუშა შეიკრიბა. კრებაზე ამ ბოლოს მომხდარ ამბების შესახებ მსჯელობდენ: ცუსიმის ბრძოლაში დამარცხებაზე, ხალხის წარმომადგენელთა მოწვევაზე და სხვ. მუშებმა გამოთქვეს ის აზრი, რომ საჭიროა ომის დაუეონებლივ შეწყვეტა და ხალხის წარმომადგენელთა შეკრებაო. კრებას დასწრო ერთი გოროდოვოი, რომელიც ორატორების ფოტოგრაფიული სურათების გადიღებით დაკმაყოფილდა.

— კაშინოვში და აკკერმანში გაძლიერებული დაცვის წესები შემოიღეს.

— 29 მაისს, კვირას, ფილიპოპოლის უველა ქალაქებში, სადაც მომეტებული მუშა ხალხია, ერთ და იმავე დროს მოხდა მუშათა კრებები. განსაკუთრებით მრავალ-რიცხოვანი და მეუობრა მანიფესტაცია ჭელსინგფორსში მოახდინეს. აქ კრებას 20,000 მუშა და მრავალი გარეშე ხალხი დასწრო. ამოდენა ხალხი, რომელსაც წინ წარწერებიანი წითელი დროშები მიუძღოდა, გაემართა ქალაქის ქუჩებზე. ხალხი რიგ-რიგობით მიდიოდა. თითო რიგში ოთხ-ოთხი კაცი იეო. ტაბაკენზე, სადაც კრება მოხდა, მრავალი ამფრთოვანებელი სიტყვა წარმოითქვა. წაიკითხეს ფინური ჰიმნი „პროლეტარიატის დღე" და შემდეგ მორიგ კითხვების კადაწყვეტას შეუდგენ. დაგმეს სეიმი და დაადგინეს შემოიდონ პირდაპირი საერთო და თანასწორი სმის უფლებით არჩევის წესები. ასეთივე იეო სხვა ქალაქებში მომხდარ კრებების გადაწყვეტილება.

პასუხი ჩვენ ბატონს.

29 აპრილის „იერიაში" მოთავსებულია ერთი ბატონის იმის შესახებ, თუ როგორი განწყობილება აქვსთ სოფელ ფლევის გლეხკაცთა და მემამულე თავად როსიკო ამირაჯიბს შორის. შემდეგ ხუთი მაისის „იერიის" ნომერში დაიბეჭდა თითონ თავად ამირაჯიბის საპასუხო წერილი, რომელშიაც იგი თავს იმართლებდა.

ჩვენ, სოფელ ფლევის გლეხკაცებმა აქამდისინ ვერც-კი გავიგეთ, რომ ჩვენმა ბატონმა პასუხის ღირსი გაგვხადა. ამ ბოლო დროს წავიკითხეთ იმისი წერილი, და აი ჩვენც პასუხს ვაძლევთ.

უკაცრავათ „დიდო ბატონო", სრულიად სიმართლეს მოკლებული-კი არ არის, როგორც თქვენა ბძანებთ ჩვენი ჩივილი, არამედ სრული ჰეშმარიტებაა. სწორეთ სოფელ ფლევიდან გახლავართ გაზეთის რედაქციაში ამბის ჩამტანნი, თუმცა თქვენ ეს არა გჯერათ. ნუ შანდობლივ თუ გნებავთ, მოგახსენებთ: ზემო ფლევის ქვედა უბნის გლეხები ვაყვავით.

ჩვენ-კი არა ვტყუით,—ტყუილი თქვენა გცოდნიათ. თქვენ ბრძანებთ: „ამ სოფელში მცხოვრებ ჩემ მოიჯარადრეთაგან აქამდე საიჯარო ღალა არც მე და არც ჩემს მოურავს არ მიგვიღიაო". მიიღეთ-კი არა ზოგიერთისგან ერთიორათაც წაიღეთ. ეს ხომ თქვენ ჩვეულებაზია გაქვთ გადაქცეული: თქვენ და წარსული წლის ღალის დროებით დაცდა ან პატიება, განა გაგონილა!

კიდევ ამბობთ: „პირობით ვარ შეკრული ნატარიუსის წესით, მაგრამ ისინი ამ პირობებს უარსა ყოფენო". ვინა, ბატონო? ჩვენ? განა ჩვენ თქვენ ხელში რაიმე პირობის დარღვევა შეგვიძლია! პირ-იქით თქვენ არღვევთ პირობებს და ზედ მეტსა თხოულობთ და უსამართლოთ მიგაქვთ კიდეც. ნატარიუსის წესით შეკრული ხვართ ხუთ კომლთან ერთი, ცხრა კომლთან მეორე. სხვებს რა წესით ახდევინებთ? —ამაზე თქვენ არაფერს ამბობთ.

მართალსა ბძანებთ, როცა ამბობთ, რომ ამისში არა ყოფილან კაზაკებიო. არც წყალია ამისსა და ფლევს შუა. აქ ჩვენ შეცდომა მოგვივიდა, მაგრამ სოფელ ფცაში ხომ იყვნენ კაზაკები, სადაც წაიყვანეს თქვენის ბძახებით ფეხშიშველა ხუთი ჩვენი მეზობელი, რომლებსაც სახლში მიცვალებული ქალი ესვენათ და თქვენმა მოურავმა აბაშიძემ ქალამნების ჩაცმა და საკინძის შეკვრა არც-კი დააცალა. ნუთუ არ გახსოვთ იქ—ფცაში რა შავი დღე დააყენეს და იქიდან როგორ დაბრუნდა სამი ჩვენი კაცი, რომლებსაც შენ და შენი მოურავი წამოეწიეთ, აზვირთებულ მდინარე ფცის წყალში მათრახებითა და ერთი მათგანი კინაღამ წყალსაც გაატანეთ? იქნება გულ-მავიწყი ბძანდებით და აღარ გახსოვთ, მაგრამ რატომ ერთხელ მაინც შინდის და კვერცხის ღალის აკრეფა არ დაგავიწყდათ? თუ ინებებთ ჩვენს, ვისაც წყალში გვცემე, გვარსა და სახელს მოგახსენებთ, დასამალი აღარა გვაქვს რა!

ქვეით ამბობთ: „მე დღიურში ვართმევ ორ კოდს, იმას კი არავის ატყობინებენ, რომ მემამულეთა უმრავლესობა იმავე სოფლის გარშემო ართმევს გლეხებს დღიურში ორ კოდსა და ორ ჩანახსაო". მართალია, მაგრამ განა ეს გამართლებთ? განა ეს ცოტათ თუ ბევრათ ამსუბუქებს იმ უჯათს, რომელსაც შენ ჩვენ გვაყენებდი. „ყოველთვის ორი დღიური ანუ ერთი დესეტინა შემოსავალს იძლევა 20 კოდამდინო (200 ფუთს)",—თავადი-შვილური კვეხნით აცნობებთ ქვეყანას. თქვენი მამულის სიკეთე სხვებმა შეიძლება დაიჯე-

რონ, მაგრამ ჩვენ ხომ შენზე კარგათ ვიცით, რა შემოსავალს იძლევა დღიური მიწა. აბა ერთი სადმე გამოგვირჩიე ისეთი ადგილი, რომელსაც არამც თუ ოცი კოდი გამოვიდოდეს, თქვენის ხათრით ათი მაინც გამოვიდეს. თვით „დამპალოს“ ადგილები, რომელზედაც ღალისა და სხვა გადასახადების გარდა დღიურზე მანათს გვახდევინებთ და რაც საუკეთესო ადგილებათ ითვლება, რვა-ცხრა კოდზე მეტი რომ არ გამოდის დღიურ მიწას, რაც უნდა კარგი მოსავალი იყოს?

უარსა ყოფთ, ვითომც ჩვენ—ფლეველებს თქვენთვის ძნა ორმოცი ვერსის სიშორიდან არ მოგვიტანია. ჩვენი აზრით ფლეველან რომ ურემი წავიღოთ წაღვლის ბოლოზე და „აბანოს“ ბოლოზე და იქიდან მოგიტანოთ აბისში ძნა, ორმოცი ვერსი-კი არა ორმოცზე მეტიც იქნება.

გვისაყვედურებთ, რატომ რედაქციას არ უამბეთ: „როდის, რომელ მოურავის დროს და რომელი გლეხი იყო გალახული ჩვენგან შინდის მოუტანლობისათვის“. ესეც დაგვიწყებიათ, ბატონო! ნუ თუ ახლაც არ მოიგონებთ, რომ წარსულ შემოდგომაზე, პავლე სძაგლიშვილის მოურავობის დროს, სინო სესიაშვილის სახლში არყის ბოთლითა სცემეთ ილიკო ნოზაძეს. ამის დასამტკიცებლათ თუ ინებებთ დავასახელებ რამდენიმე მოწამის სახელსა და გვარსა. მოგაგონდათ, კნიაზ, შინდის კერკი რომ არ მოგცათ ნოზაძემ დაემუქრევით და მეორე დღეს მუქარა სისრულეში მოიყვანეთ. დანარჩენზე არც-კი გვინდა პასუხი მოგცეთ ჯერ-ჯერობით ესეც საკმარისია. მართლა, წერილის ბოლოში ამბობთ: „საკვირველია გლეხებმა მათრახი საიდან გამოძებნეს, როდესაც ჩვენგანს ხელში არავის ქონიაო“! არა, ესეც საკვირველია! განა მომხდარა როდისმე, რომ პოლიციელი ჩვენთან უმათრახოთ მოსულიყოს? არა გვგონია, რომ თქვენ ეს ვინმემ დაგიჯეროთ.

ხაშურელი.

გლეხების ნაამბობი.

ამ წინაზე ქალაქში თორმეტიოდე გლეხს გადავეყარე, რომლებიც მათი სიტყვით „ავდოკანტს“ ეძებდენ „ნამესლიკის“ პისართმევათ არზის დასაწერათ. უნებლიეთ შევეკითხე ქალაქში ჩამოსვლის მიზეზს და შემდეგი ამბავი მითხრეს.

„ჩვენაო, დაიწყეს იმათ, დუშეთის მაზრის სოფელ ზეგნაკორელები ვართ. უბედურება რამ გვეწვია, გვინდა „ავდოკანტი“ ვიშოვოთ ვინმე, „არძა“ დავაწერინოთ და „ნამესლიკს“ მიმართვათ. ამ წლის ბოლო რიცხვებში, შუა წავიღე ქალაქს გასაყიდათ. «აბანეს ხევზე», (ადგილს უხმობენ ზეგნაკორს ახლოს) რომ ჩავედით, კნიაზ ნიკო ხიმშიშვილის სახლის პირდაპირ, დაგვახვედრა გზაში ხსენებულმა თავადმა თავისი ტყის ყარაული. ბერდანის თოფით ხელში, აღარ გვაშვებდა წინ; „თქვენზე ფულია დარჩენილი კნიაზისა და უნდა გადაიხადოთო“. ჩვენ ვემუდარებოდით: ჩვენი ანგარიშით კნიაზისა არაფერია ჩვენზე-ო და თუ მაინცა და მაინც არის რამე, ახლა გაგვიშვით, წავალთ თფილისში, გავყიდით, მოვალთ და გავსწორდეთო. მოირბინა კნიაზ ნიკომაც თოხით ხელში და უბრძანა ტყის ყარაულს: ესროლე დახოცე და პასუხს მე ვაგებო, მაგრამ ყარაულმა სროლა ვერ გაბედა. მერე თითონ გამოგლიჯა ყარაულს ხელიდან თოფი, უნდოდა სროლა, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროთ წინდახედულ ყარაულს, თოფის «ზატვორი» ამოეღო და იქვე ახლოს გადაეგდო. ამითი გაბრაზებული კნიაზი ნიკო მივარდა უღელში შებმულ ხარს და თოხი დაარტყა თავში. როდესაც მეორეთ შემართა დასარტყმელათ, მივარდა ხარის პატრონი თომა აბაშვილი ღრიალით და ხვეწნით კნიაზ ნიკოს ხელი დაუჭირა და შეეკედრა: ისევ ის მირჩევნია მე მოვკლა ხარს-კი ნუ მოკლავო. აქ კი ნამდვილ კნიაზურათ განრისხდა ბ-ნი ნიკო, როგორც გაბედა უარტლიანმა გლეხმა ხელი მახლო მკლავებზე, კიდევ მიმართა თოფს მაგრამ უწინდელი საქმე დაემართა. ამ ალიაქოთის შემდეგ მაინც წამოვედით თფილისში და ურმებიც წამოვიღეთ, თუმც ბევრი გვაგინა და გვემუქრა, რომ ქალაქში „ბუნტის“ საქმეს გაიგებთო. შემდეგ ყარაულს მივარდა წაეჩხუბა თოფის „ზატვორი“ რათ დამიკარგეო. ბევრი ძებნის შემდეგ, ეპოვნა „ზატვორი“ და რამდენჯერმე გვესროლა, მაგრამ შორს ვიყავით და ვერ მოგვახვედრა. ამას შემდეგ კნიაზ ნიკო შემჯდარიყო ცხენზე, მაზრის უფროსთან წასულიყო და ეს ამბავი სულ თავისებურათ ეამბნა.

გლეხები „ამიბუნტდნენ“, ტყე გადაჩეხეს, თფილისში რომ მიქონდათ გზაზე მე და ყარაული დავხვდით, ორივეს გვცემეს და ურმები მაინც წაიღეს ქალაქშიო. ამიტომ გთხოვთ დამეხმაროთ თავხედი გლეხების დასაჭკვიანებლათაო. მაზრის უფროსსაც მიეცა ბაზალეთის ბოქაული სულხანიშვილი და დარაჯები. გამოსდგომოდენ მეურმეებს და მცხეთასთან დასწეოდენ. წაერთვათ შეშა, ურმის ყოველივე იარაღი და საქონელი, რომელიც მცხეთის მამასახლისისთვის გადაეცათ დასამწყვდევათ. ორი დღე დამწყვდეული ჰყოლოდათ საქონელი უპმელ-უსმელი; დიდი ხვეწნა ვედრების შემდეგ ისევ ბოქაულს შენანებია გლეხები, ცარიელი ურმები და საქონელი მიეცა, შეშა და ურმის იარაღი კი წაართმია. ამას მოჰყვა, აკლება, ეკზეკუცია, დაპატიმრება, და ათასნაირი ბეზღება ცილის წამება მთავრობასთან. დაატუსაღეს თომა აბაშვილი, ის აბაშვილი, რომელსაც კნიაზ ნიკო უღელში შებმულ ხარს უკლამდა, და აქვსენტი აბაშვილი. ეს უკანასკნელი იმ დროს იქ არ ყოფილა და დღესაც არ ვიცით ამის დატუსაღების მიზეზი. იმ დალოკვილმა ღმერთმა ახლანდელ „ზაკონივით“ მდიდრებისკენ გადიწია, თორემ როგორ უძლებს ჩვენს ამოდენა ტანჯვა ვაებას. წარსულ 1904 წელს კნიაზ ნიკო ხიმშიაშვილმა ისეთი დღე დაგვაყენა, რომ ჩვენი შვილიშვილიც კი სულს ველარ მოითქვამს. გამოგვცხონა ყოვლად უადამიანო შარი: «თქვენაო ჩემი მამული მეტი გჭერიათ და საიჯარო ქირა კი ნაკლებისა გიძლევიათ და ასე გიტყუვებიხართ ათი თუ მეტი წელიაო. თავის თავათ და თავის ნებით დაზომა ტყიანი, კლდიან-ხევიანი და გვერდა ადგილები, ისეთები, რომლებითაც ჩვენ კი არა ვერავინ ვერ ისარგებლებს და ყველა ამეებში თურმე შაეწერა მთელი ათი წლის იჯარა, ისიც ისეთ პირობით როგორც პირველი ხარისხის სახნავი მიწა ე. ი. დესეტინა 8 მან. გაეწაწილებია თავის თავათ ყველაზე და ერთ მშვენიერ დღეს შემოგვისია მამასახლისი სოლომანა ჯანგირაშვილი, ჩვენი სოფლის ცნობილი მწერალი აზ. რატიშვილი, გზირები და დაგვიწყეს დაწიოკება დიდოელ ლეკებივით. აქამდე კი ჩვენ არც ჩივილი გაგვგებინეს არც დაგვიბარეს და არცარა წინადადება მოგვცეს თავის გასამართლებლათ.

ჯღუნა ქავთარაძეს შეაწერეს და წაართვეს 180 მანეთი, ივანე წიკლაურს 370 მანეთი, ანდრო ციხიშვილს 60 მანეთი ფული შეაწერეს, მაგრამ რომ ვერ უშოვა, ხარები გაუყიდეს. მარტია ბექაურის ორ ობოლ გოგოს: ბაბალე და მაგდანას ორი ხარი, მათი მარჩენალი, 60 მანეთში გაუყიდეს, თუმცა ხარები 100 მანეთი ღირდენ. კნიაზი ნიკო კი ურცხვათ და გულქვათ 20 მანეთს კიდევ ედავებოდა ამ უბედურს და უმწეო არსებათ: «თქვენმა ხარებმა თქვენი ხვედრი ფული 80 მანეთი ვერ ამინაზღაურესო». თომა ხოსროშვილმა სთქვა: სამი წლის ნამსახურიდან კნიაზ ნიკომ მხოლოთ ერთის წლის ჯამაგირი მომცა ორი წლისა კი 160 მანეთი დამხუთა, მგო-

ნი ამავე აზრითო. მათე ძავაშვილმა სთქვა, კნიაზმა მეც ამიტა-ლახა 15 მანეთიო. თევდორე ქავთარაძემ სთქვა: შარშან რო-ცა კნიაზის სამართლით გვიკლებდენ, მე ფული რომ არა მქონდა და ვერცა რა მიპოვეს გასაყიდ-დასაგირავებელი, კნი-აზმა იმდენი სიკეთე მიყო, რომ მე თითონ დამაგირავა თავის საქმეზე ერთის წლით და ჩემი ცოლ-შვილი კი მშიერ მწყურ-ვალი დამიტოვაო. მათე ძავაშვილმავე სთქვა: კნიაზის 12 მან. მემართა; დროზედ ვერ მივართვი, თუმცა ცდა არ დამიკლიაო. როგორც იყო ვიშოვე მიუტანე, მაგრამ კნიაზმა თავისებური კნიაზური პასუხი მომცა «რადგან დროზე ვერ ჩამაბარე ახლა 30 მანეთი უნდა მომიტანო, ვინაიდგან წესათ ასე მაქვს და-დებულიო». და რომ წესი არ დაერღვევინებინა უღელი კა-მეჩი წამართვა. ვიდრემდის 30 მანეთს არ მომიტან ალარ დაგანებებო. ვიდრე მე ხსენებულ 30 მანეთს ვიშოვიდი, მა-ნამდე კამეჩები საბძელში ჰყოლოდა დამწყვდეული. ერთი კვირის შემდეგ მივართვი 30 მანეთი და წამოვიყვანე კამეჩები, მაგრამ ერთი გზაზე მომიკვდა მეორეც იმ ღამეს ბოსელში მომკედარიყო სიცივისა და შიმშილისაგან დაღურაღებული. ამ გარემოებამ უფრო მიწასთან გამასწორა უმისოდაც მიწა-წასთან გასწორებული.

აი მკითხველო ყველა ესენი თბილისიდან 25 ვერსზე ხდება საჯაროთ, კანონის სახელით და დამნაშავე კი ლაღი ირემივით დანავარდობს.

„მარტის გასულს დაგვიბარა ნიკო ხიმშიაშვილმა და გა-მოგვიცხადა: მე გავიგე, რომ თქვენ სხვა სოფლებივით რაღაც სისულელე გინდათ ჩაიდინოთ, «ბუნტი» მოახდინოთ, ამისათვის მე ჩემი მამულის იჯარას უმატებ დესეტინაზე 8 მანეთს, კო-მლზე 400 ცალი ვენახის სარი უნდა დამიჭრათ და თქვენის ჯრმით მომიტანოთ, გუთანი, ურემი, ბუშა ხელი, და სხვა ამისთანა «წვრილი საქმე» რამდენიც დამჭირდება უნდა უარის უთქმელათ ამისრულოთ. სარი კი ყველამ ორ კვირამდე უნდა მომიტანოთო». ჩვენ რასაკვირველია უარი განუცხადეთ ასეთ უცნაურ პირობაზე. ხალხიც დაიშალა, დავრჩით 8 კაცი, ერ-თმა ჩვენთაგანმა ჰკითხა გიორგი ხალიშვილს ღვინო გაქონია და ცოტაოდენი მომყიდეო. ეს გაეგონა კნიაზ ნიკოს, წა-სულიყო თავის მარანში, ამოეღო ორი თუ სამი თუნგი ღვი-ნო და გამოგვიტანა და შემოგვთავაზა „ღვინოზე ლაპარაკო-ბდით და აი ღვინო დალიეთო“. ჩვენ თუმცა გვეუცხოვა კნიაზის ასეთი არა ჩვეულებრივი მასპინძლობა, მაგრამ მიხვე-დრით კი ვერ მიუხვდით იმის დაგებულ მახეს. მწარეთ ამო-გვაშხამა ბრწყინვალე თავადმა ეს ღვინო და ძვირათ დაგვისვა ეს მასპინძლობა. ამის თაობაზე მაზრის უფროსისთვის ასეთი საჩივრით მიემართნა. «როცა მე ჩემ გლეხებს ჩემი მამულის საიჯარო პირობა გამოუცხადე ამიჯანყდენ, მომიცვივდენ, მა რანი გამიტეხეს, ღვინო დალიეს, დააქციეს, და შინაც ბევრი წაიღესო. როცა დაითვრენ ბევრი უწესოება ჩაიდინესო.

19 ამ მაისში დაგვიბარა მთელი სოფელი დუშეთში მაზ-რის უფროსის თანაშემწემ ბ. ჯონქაძემ და მომრიგებელმა შუამავალმა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ვიფიქ-რეთ: ახლა კი ჩვენმა ტანჯვა ვაების ხმამ და უსამართლოთ დაღვრილმა ცრემლმა მიაღწია სამართლამდის და მოგვხედა-ვენო. მაგრამ მოვტყუვდით. დამწვარზე მდუღარე გადმოგვას-ხეს. კნიაზ ნიკოს წარუდგენია მაზრის უფროსისთვის საკმაო დიდი ჯამი ზარალისა, რომელიც ვითომდა ჩვენ სოფლელებს მიგვეყენებინოს მისთვის და რომელიც პირველათ გავიგონეთ გვიბძანეს: ეს ფული ამ მაისის გასულამდე უნდა ჩააბაროთ თქვენს ბატონს კნიაზ ნიკოსაო, თორემ წინაღმდეგ შემ-თხვევაში ჩაგიყენებთ ყაზახებს „ეგზეკუციას“ და გაგანიავებთ მოგსპობთ, თქვენს კონებას სულ თქვენს ბატონს გადავ-ცემთ. ახლა აღარ ვიცით რა ვქნათ. ვაპირებთ ერთი კარგი „არძა“ დავწეროთ და „ნამესლიკს“ მივართვათ, იქნება იმან მაინც მაისმინოს ჩვენი ტანჯვა ვაებაო“. ამ მწარე მოთხრობის შემდეგ წავიდენ ვექილის საძებნელათ და არზის დასაწერათ მაგრამ....

ვ. ნ.

საფრანგეთის ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში.

(შემდეგი *)

როგორც ზემოთ ვთქვით, დროებითი მთავრობა მხო-ლოთ პროლეტარიატის დანაწილებით სულდგმულობდა. ის რამდენჯერ იყო სასიკვდილოთ გამზადებული და ყოველთვის საიქიოდან გამობრუნებულა. ბურჟუაზიული საზოგადოება, პროლეტარიატის დაშინებული, შემოკრბა მთავრობის გარე-შემო და გადაწყვიტა „საზოგადოების ხსნა“. მათი ერთათ ერთი იმედი იყო პროვინცია, უვიცი გლეხობა, უკულტუ-რობა და უკან ჩამორჩენა. საჭირო იყო თავხედი პარიჟი, პარიჟი ცეცხლის მფრქვეველი, რევოლიუციის მუდმივი ბუდე და ათასჯერ დამარცხებული, მუდამ გულ-გაუტეხელი, პა-რიჟი ახალი წუობილების პროვინციას დაუკითხავათ შემო-მღუბელი, რესპუბლიკის დამაარსებელი, სოციალური რევო-ლიუციის პირველი მოციქული, საჭირო იყო ამ სახელოვანი ქალაქის დასჯა, მისი ალაგმვა, რკინის გალიაში ჩამწყვდევა და შეუბრალებელი დარაჯების მიყენება. ეს შეიძლებოდა მხოლოთ პარიჟის საფრანგეთში გალესვით, საფრანგეთის პა-რიჟზე გაბატონებით, ცრუ-მორწმუნე გლეხის, პროლეტარი-ის მსჯულათ დაყენებით, სიბნელეში სანთლის გაჭრობით. საფრანგეთო, შენ გვიხსენ პარიჟის ტირანიიდან—ეველრე-ბოდა ბურჟუაზია. საფრანგეთო, შენ გვიხსენ ბურჟუაზიის ტირანიიდან—ეხვეწებოდა პარიჟს პროლეტარიატი. და აი მოაწია ჟამი ამ მრისხანე მსაჯულის მსჯავრის დადების, მოა-წია საერო კრების არჩევანი. ყველა პარტიამ, ყველა კლასმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ თავის თავი რესპუბლიკანელათ გამოაცხადა. აზნაური, ბურჟუა, ხუცესი, ბერი, ორლეანი-სტი, ლეგიტიმისტი, ბონაპარტელი თავის გულ-წრფელ რესპუბლიკანობაში ქვეყანას არწმუნებს. რა, განჩინება უნდა გამოეტანა გლეხობას? ცხადია რა, რესპუბლიკამ მას მოუტა-ნა ზედ მეტი გადასახადი, რადგანაც რეაქციონერები არწმუ-ნებდენ, ეს პარიჟის „გაუმაძღარი“ მუშების ბრალიაო—მისი განჩინებაც ამ ვითომ და „მფლანგველთა“ წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო. ის შეიქმნა მომხრე რესპუბლიკის, ვინაიდან ის ჩვეულებრივათ იმის მომხრეა, რაც არსებობს. და რადგანაც ყველა მისი ბატონები, მემამულენი და ხუცები, რესპუბლი-კის მანტიით გამოეცხადენ, მანაც თავის წარმომადგენელათ აირჩია თავად-აზნაურნი, საეკლესიო პირები, გამქრალ დინა-სტიების მოტრფიალენი, ე. ი. რესპუბლიკა ჩააბარა იმათ, ვისაც ეს წუობილება მიაჩნდა მონარქიის აღსადგენ იარაღათ. ქალაქებში დაფაცურდა წვრილი ბურჟუაზია, რომელსაც რესპუბლიკამ გაუხსნა ბანკები, მოუპოვა ნდობა, გაუზარდა დუქანი და უფლებით სოვდაგართან გაათანასწორა. და მანაც მისი ერთგული დარაჯები აირჩია (მხოლოთ ლიონმა გამო-გზავნა ორი სოციალისტი).

და ასე, საფრანგეთი გრიალით შამოვიდა პარიჟში, გაუ-მარჯოს ბურჟუაზიულ რესპუბლიკას, ძირს პროლეტარია-ტიო!

როგორ შეხვდა ამ ხმას პარიჟი? აქ ჩვეულებრივათ რაზ-მა პროლეტარიატის დანაწილებულია, ლუქსენბურგის კან-

*) იხ. „მოგზაური“ № 21, მაისი 1905 წ.

დიდატები არ მიიღო საერო სახელოსნომ, ხოლო კლუბების სია ლუქსენბურგმა. ამას მიუმატეთ ის რომ მრავალი მუშა არ იყო შეტანილი მეკენჭეთა სიაში და ხმა არ ჰქონდა. მთავრობის უმრავლესობის კანდიდატთა სია, საიდანაც ოპოზიცია ერთიანათ გამორიცხული იყო, მიიღო ყველა „საზოგადოებას მხსნელმა“ და აი პარიჟმაც შეუერთა თავისი ხმა პროვინციასას, ძირს პროლეტარიატო! ოპოზიციის არც ერთი კანდიდატი არ გათეთრებულა, გარდა მთავრობის უმცირესობისა, რომელთა არჩევა ჯერ კიდე საჭირო იყო პროლეტარიატის დამარცხებისათვის.

4 მაისს გახსნილი საერო კრება განხორციელებული ბურჟუაზიული რესპუბლიკაა და რადგანაც ბურჟუაზია მუდამ გაყვლეფილთა და გამყვლეფელთა ძმობას ქადაგებს, კრებამაც დიდებულათ დაადგინა: „სამშობლოს სახელით კრება იწოდებს ყველა პარტიის ფრანგს, დავიწყონ ძველი უთანხმოება და შეადგინონ მხოლოთ ერთი ოჯახი“. მარა დავიწყება იმის, რაც დღე მუდამ გაწუხებს, შეუძლებელია. პროლეტარიატმა მიუხედავათ ამ „ხმა ერისა“ ვერ დაივიწყა თავისი დამარცხება და კრებამ პროლეტარიატის დამორჩილება. ეს ორი მოპირდაპირე დაემზადენ ეთმანეთთან საბრძოლველათ.

მონტანიართა ორგანომ, „პარიჟის კომუნამ“, სიტყვით ყოველთვის მამაცმა, პირველათ გაილაშქრა საერო კრების წინააღმდეგ; თუ ის უარ ყოფს სოციალურ ტევოლიუციას, თუ არ იცნობს ამ თავის დედას და აიღებს მახვილს მის წინააღმდეგ, ის აუცილებლივ დაირღვევა თავისივე უძლურებაში. რევოლიუციური ნიავი მას გაშორდება და გახრწნილი თვითონვე ჩაქრება. ხალხ შეუძლია შესცვალოს თავისი მთავრობა როცა სურს და გაიხმოს თავისი წარმომადგენელნი. ამ საერო კრების ძალით დაშლის თეორიას მიემხრენ კლუბები. ბლანკიმ დაარსა საიდუმლო საზოგადოება ამ აზრის გასავრცელებლათ. პასუხათ საერო კრება 10 მაისს დროებითი მთავრობიდან აძევებს ლუი-ბლანს, ალბერტს და ფლოკონს, და დანარჩენებისაგან ადგენს „აღმასრულებელ კომისიას“. ასე დაიწყო თვით კრებამ ძველი უთანხმოება! ფლოკონი დააჯილდოვეს ვაჭრობის სამინისტროს ჩაბარებით და მით ბურჟუაზიამ საჯაროთ გაწყვიტა კავშირი მხოლოთ მუშებთან.

ასე დასრულდა „ბლოკი“, დასრულდა მხოლოთ მაშინ როცა ის საჭირო აღარ იყო ბურჟუაზიისათვის. საერო კრების პირველი ამოსაღებია: მთავრობა უსოციალიზმოთ, რომ შემდეგ გამოეცხადებია მთავრობა ურადიკალოთ და ასე უკან უკან მონარქიისაკენ ეცლო.

რამდენათ „ბლოკი“ პროლეტარიატის შეგნების დამაბნელებელი და მისი გზა-კვალის ამბნევი იყო, იმდენათ მისი მოშლა, მისი გამომფხიზლებელი უნდა ყოფილიყო. და მართლაც შემდეგ ლუი-ბლანის მთავრობიდან გამორიცხვისა ლუქსენბურგის მუშათა დელეგატებმა გადასწყვიტეს თავისი ძალღონით მოქმედება და ყველა სახელოსნოსთან და კლუბებთან მჭიდრო კავშირის დაჭერა. ახლა დაინახეს საჭიროთ მთელი პროლეტარიატის კონცენტრაცია და ბურჟუაზიულ მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრება, მაგრამ ეს აღვილი აღარ იყო. მის პირდაპირ იდგა არა მისი დაყენებული მთავრობა, რომლის გადაგდება ყოველთვის შეეძლო, არამედ მთავრობა მთელი საფრანგეთის დაყენებული და საყოველთაო კენჭით გამოცხადებული. ასეთი მთავრობის ძალით დაშლა — ეს საფრანგეთის, საყოველთაო კენჭის ყრის შეურაცყოფაა, ეს დემოკრატიული პრინციპის უარყოფაა. სწორეთ ამიტომ ჩქარობდა დროებითი მთავრობა საერო კრების მოწვევას და პარიჟის პროლეტარიატის თავის თავთან წინააღმდეგობაში ჩაყენებას.

ასე თუ ისე რევოლიუციური პროლეტარიატი საერო კრების წინააღმდეგი შეიქმნა.

მიუხედავათ „ბლოკის“ აშკარა უარისყოფისა ლუი-ბლანი მაინც არ შედრკა და კიდევ ერთხელ შეეცადა ბურჟუაზია თავის აზრებში დაერწმუნებია. ის საერო კრებას ჰგდგენს ლუქსენბურგის კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტს, რომლის პირველი მუხლი თხოულობდა შრომის სამინისტროს დაარსებას. შრომის სამინისტრო! გაკვირვებით იმეორებდენ დეპუტატები. „ჩვენ ყველა აქ სოციალურ კითხვის, ხალხის უფლებების დასაცავათ ვართ, ყვიროდენ აქედან-იქიდან“. ბოლოს წამოაყენეს „ნამდვილი“ მუშა, პეპინი—ეს კლერიკალების მიერ არჩეული და ალაპარაკეს სოციალიზმის, ლუი-ბლანის და ლუქსემბურგის კომისიის წინააღმდეგ. აი ნამდვილი მუშა, როგორი გონიერია სეკტანტები რომ დაყენებენ, —გაიძახოდენ ბურჟუები, ლუი-ბლანის პროექტს წაკითხვაც კი არ აღირსეს და უდებატოთ ნაგვის კალათაში გაუძახეს.

ამ ნაირათ პროლეტარიატსა და მთავრობას შორის 25 თებერვალს დადებული ხელშეკრულობა შეასრულა პირველმა, დაარღვია მეორემ. პროლეტარიატმა მოითმინა აღთქმული სამი თვე, მთავრობამ უარყო აღთქმული შრომის ორგანიზაცია. ბურჟუაზიულ დემოკრატიამ ლიბერალებზე კიდე უფრო მწარეთ მოატყუა მუშა ხალხი. ამ მოტყუების გადასაფუჩეჩებლათ და მუშის შეგნების კიდე ერთხელ დასაბნელებლათ მან მიმართა ხერხს—თანხმობის მოედანზე მან დანიშნა „აერო დღესასწაული «ყველა კლასების დასაძმობილებლათ». სას ლექსემბურგის მუშებმა პროკლამაციით ასე უპასუხეს: მრადგანაც ბარიკადებზე მრცემული დაპირება არ შეასრულეს, რადგანაც საერო კრებამ 10 მაისის სხდომაზე უარყო შრომის და პროგრესის სამინისტროს დაწესება, ამიტომ ლუქსემბურგის მუშა-დელაგატები უარს ამბობენ ეგრეთ წოდებულ თანხმობის დღეხასწაულის დასწრებაზე“. დღესასწაული გადადგეს.

აი ამ დროს პარიჟში მოახწია პრუსიის და ავსტრიის აჯანყებული პოლიშის დათრგუნვის ამბავი და დამარცხებულთა მოწოდება: „საფრანგეთო, პოლშის უსაყვარელესო დაო, ევროპის თავისუფლების მანათობელო ვარსკვლავო, შენ არ დატოვებ განუკითხავათ პოლშას“!...—სწერდა სასიკვდილოთ დაჭრილი პოლშა. იქედაც აფორიაქებული პირიჟი კიდე უფრო აფორიაქდა, მთელი პროლეტარიატი ფეხზე დადგა და პოლშის მიხმარება მოითხოვა. საერო კრებამ ამ კითხვის შესახებ დებატები დანიშნა თუთხმეტი მაისისათვის, პროლეტარიატმა გადაწყვიტა ამ დღეს კრების წინ მანიფესტაციის მოხდენით დეპუტატებზე ძალის დატანება პოლშის სასარგებლოთ. ამ აზრმა შეაერთა მთელი ოპოზიცია. კლუბები ამ ბობდენ, დროა პროვინციები ვაჩვენოთ პარიჟის ხალხსო ბლანკის კლუბში გაჩაღდა აგიტაცია ამ შემთხვევით სარგებლობის და კრების დაშლის შესახებ.

15 მაისს, ორშაბათს, ქუჩები დილიდანვე გაივსო ხალხით სხვა და სხვა ბანრაღებით და წარწერებით: გაუმარჯოს, პოლშას!—შრომის ორგანიზაცია და სხვა მთავრობამ მანიფესტაციის წინააღმდეგ განსაკუთრებული ზომები არ მიიღო. რადგან როლენი და ლამარტინი ამით თავისი შერყეული მდგომარეობის გამაგრებას ფიქრობდენ, ხოლო მარასტი და სხვები ამაში რეაქციის დაწყების საბუთებს ეძებდენ. ხალხი ბლანკისტთა მეთაურობით მოგროვდა თანხმობის მოედანზე, საერო მილიციის ღენერალს კურტეს ხიდზე გაშვების ნება გამოსთხოვეს და პალატას შემოადგენ. პირველმა

რაზმმა ჩაამტვრია ეზოს რკინის მოაჯირი და გრიალით შეცვივდა კორიდორებში. აქ უკვე მოისმოდა დეპუტატთა ტრიბუნიდან ვოლოვსკის სიტყვა: «არა, პოლშა არ მომკვდარა, მას მხოლოთ სძინავს!...—გაუმარჯოს პოლშას!—მიაძახეს კორიდორებიდან, ლამარტინი და ალბერტი გამოვარდენ გარეთ ხალხის შესაჩერებლათ. «ბატონო ლამარტინო!—მიმართავს ერთი მანიფენსტანთაგანი—კაი ხანია რაც თქვენ ლამაზი ფრაზებით გვიმასპინძლდებით, ხალხს სხვა რამ ეჭირება და არა სიტყვები, მას თვითონ სურს შევიდეს საერო კრებაში და თავის ნება ამცნოს». ლამარტინი უკან ბრუნდება, ხალხი შედის კრების ზალაში, ყველაფერი აირევა. ლუი-ბლანი ადის ტრიბუნაზე, ხმაურობა მატულობს, რასპაელი კითხულობს ხალხის პეტიციას, არავის არაფერი ესმის, საერთო აჟურ-ბაჟურია. უცებ გაისმა ერთი კაცის სახელი და ხალხმაც იგრიალა: ბლანკი, ბლანკი! ჩვენ გვინდა ის გავიგონოთ. ყველა გაიწ-გამოიწია და წინ წამოდგა პატარა, გამხდარი კაცი, დაგლეჯილ ტანისამოსში. დეპუტატები ხელათ ჩაჩუმდენ ბლანკის დანახვაზე და ცნობის მოყვარეობით ათვალიერებდენ იმას, რომლის ერთი სახელი შიშის ზარს გვრიდა. ხალხი სვენათ გადაიქცა. ორატორმა დაიწყო: «ხალხი თავის მედგარ ხმას ამაღლებს და თხოულობს საერო კრებამ აღიაროს, რომ საფრანგეთი ხმალს ქარქაშში არ ჩააგებს მანამდის, სანამ აღდგენილი არ იქნება ძველი პოლშა, პოლშა 1792 წლის» .. ამ დროს მოისმა გარედმიდან მილიციის გამოსაწვევი სიგნალი, რის ბრძანება კრების თავმჯდომარეს ჩუმათ გაეცა. ბარბერი ავარდება ტრიბუნაზე: ეს რა ამბავია, რა საჭიროა ჯარი, გვიღალატეს, ძირს მოღალატენი! ხალხი გაეჭანება თავმჯდომარისაკენ და ითხოვს ბრძანების გაუქმებას. თავმჯდომარე უარზეა. მაშინ პუბერი ადის ტრიბუნაზე და წარმოსთქვამს: ხალხის სახელით საერო კრება დაშლილაა. ყველაფერი აირ-დაირევა, დეპუტატები გარეთ გაცივიან, თავმჯდომარეც მათ მიზდევს. ხალხი ბარბერის და ალბერტის მეთაურობით მიდის საბჭოსაკენ დროებითი მთავრობის შესადგენათ. როლენი და ლამარტინი წინ უძღვება გამოწვეულ მილიციას და საბჭოს თავს ესხმის აჯანყებულთა იქიდან გამოსადენათ. ბარბერი, ალბერტი და სხვა, რომელთაც საბჭოს გამაგრება ვერ მოასწრეს, ტყვეთ უვარდებიან მთავრობას. ბლანკი, რასპაელი, მარშე, სობრიე, კაბე, ლენერალი კურტე და სხვა დაიჭირეს. საერო კრებაში პირველათ წარმოითქვა სიტყვა **რეაქცია** და გადავიდა პრესაში. ბურჟუაზია განრისხდა არა მარტო პროლეტარიატის, არამედ მონტანიართა და თვით ლამარტინის წინააღმდეგაც. მან მოითხოვა მაგარი მთავრობის შედგენა და წესიერების დაცვა, პირველ ყოვლისა საჭირო იყო პოლიციიდან მონტანიართა გაგდება და თავისი კაცების ჩაყენება. პრეფექტურას შემოარტყეს ჯარი კორიდიერის და მისი პოლიციის იქიდან გასარეკათ. კორიდიერის დასაცავათ გამოექანა ათი-ათასი მილიციონერი და შეიარაღებული კლუბისტები. უომოთ პრეფექტის დამარცხება არ შეიძლებოდა, ხოლო ომი ამ აღელვებულ ქალაქში საშიშარი იყო. მაშინ ლამარტინმა მიმართა თავის მჭერ-მეტყველებას და „ლამაზი სიტყვები“-თ დაითანხმა კორიდიერი თავისი ნებით პრეფექტურის დაცლაზე. კორიდიერი თავისი მონტანიარებით გავიდა პრეფექტურიდან. მის ალაგას დაინიშნა მარასტის მეგობარი, ბანკირი შოველი. პოლიციას დაეპატრონა რეაქცია. ბლანკის და ბევრი სხვის კლუბები დახურეს და 100-ზე მეტი დაიჭირეს. მთავრობამ დასცვალა როლენის მიერ განწესებული რადიკალური მოხელენი-პრეფექტები და კომისარები—და მათ ალაგას ჩააყენა ზომიერნი. პარიჟში მხედრობა შემოიყვანეს, სახლების ჩხრეკა დაიწყეს, რევოლიუციონერ მილიციონერთ იარაღი აყარეს, სამხედრო მინისტრათ დანიშნეს ლენერალი ევგენი კავენიაკი, აფრიკის ომებში გრძნობა მიჩლუნგებული სალდათა; დისციპლინის მეტი არას მცოდნე და მხედრობის გარდა არაფერს მცნობი—ერთი სიტყვით, დემოკრატი მარასტის მეთაურობით რეაქცია გამეფდა.

საერო კრებამ ეხლა სავსებით ჩამოიხადა ნიღაბი და მისმა ყველა პარტიამ თავისი ნამდვილი სახე დაგვანახვა. დემოკრატები მიემხრენ ზომიერთ, ზომიერნი კონსერვატორთ პროლეტარიატის ქედის მოსახრელათ. მონტანიარი როლენი, დემოკრატი მარასტი, მონარქიელნი ოდილიონ-ბაროხელი ხელთ გაყრილნი გამოვიდენ ბურჟუაზიული წყობილების დასაცავათ. თვით კლასთა მომრიგებელ ლამარტინმა მართლაც ყველა კლასი მოარიგა მუშათა კლასის წინააღმდეგ. და ასე, ერთი აზრით, ერთი გრძნობით გამსჭვალული საერო კრება ვაშას ძახილით შეხვდა დემოკრატი ტიელას სიტყვას: «ეხლა კითხვა იმაშია, შრომა ჩადგეს თავის წინანდელ მდგომარეობაშიო». ეს კი პირველ ყოვლისა საერო სახელოსნოთა გაუქმებას, 130 ათასი კაცის ულუკმა პუროთ დატოვებას ნიშნავდა. მერე რა უყოთ? რა საჭირო იყო ახლა უსაქმო მუშათა შრომით ალაგმება, როცა რეაქცია უკვე მომზადდა მისი ტყვიით ასალაგმავათ! საერო სახელოსნომ ისე როგორც „ბლოკმა“ უკვე შეასრულა თავის მისია, ჩამოაგდო განხეთქილება მუშებში და გაამაგრა ბურჟუაზიის ბატონობა, ეს ბატონიც ბატონურათ იქცევა—ადგილიდგან ითხოვს მისთვის უსარგებლო მოსამსახურეს, ანგარიშიანი ბურჟუა მუქთათ პურს არავის აპმევს და აი რეაქცია იერიშით მიდის საერო სახელოსნოებზე. დეპუტატი დიუპენი პარიჟის ერთ ნახევარს აცხადებს გაფუჭებულათ, უვარგისათ, ხოლო ამ ნახევარის ერთ ნაწილს საერო სახელოსნოთა მუშებს—ზარმაცათ და მუქთახორათ. ამ აშკარა შეურაცხყოფამ აღელვა უკანასკნელნი და ბ-ნ დიუპენს მიმართეს ორი პროკლამაციით. აი ერთი ამათგანი:

„ბ-ნო დიუპენო, ჩვენ არა ვართ ისინი, ვინც მოწყალებას ითხოვს, რესპუბლიკა დაგვპირდა შრომით აცხოვროს ყველა თავისი შვილი. მაშ მოგვეცით სამუშაო, რომელიც საშვალებას მოგვცემს ვიცხოვროთ, ისე როგორც ეს შეეფერება თავისუფალ ადამიანთ და მაშინ ნახავთ, ბ-ნო კმაყოფილნო, თუ ჩვენ მართლა მკონარენი ვართ და მხოლოთ საზოგადოფულით კვებას ვთხოულობთ. ჩვენ მაინც არ მოგვითხოვია „საერო სახელოსნო“-თა დაარსება და თქვენ 24 თებერვლის შემქნელთ სწორეთ ვერ იყოლიებთ აქ სალდათური დისციპლინით. ხალხი თქვენი ცუდი პარიჟის, მხოლოთ ბარიკადებზე მიგაჩნივართ კარგ ხალხათ. აი ამ დროს ჩვენ შესანიშნავიც ვართ, სულგრძელიც, დიდებული, ყოჩაღი, თითქმის გმირიც. ნუ ივიწყებთ ბ-ნო მონარქისტებო, რომ ჩვენ თქვენ მონათ დასარჩენათ არ მოგვითხოვნია მესამე რევოლიუცია. ჩვენ ვებრძოდით თქვენ სოციალურ ორგანიზაციას, აჰ ერთათ ერთ მიზეზს იმ არეულობის და სიღატაკის, რომელიც ხრავს და ნთქავს თანამედროვე საზოგადოებას, იმ საზოგადოებას, სადაც მხეცური ძალა ქმნის კანონს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასოციაციით თავს განვითავისუფლებთ პატრონთაგან და თავის თავს ჩვენვე დავეპატრონებით. მხოლოთ ასოციაცია, როგორც ერთათ ერთი სამართლიანი დაწესებულება, მისცემს ქვეყანას, ყველა ხალხს თავისუფლებას, ჭეშმარიტ ძმობას, ნამდვილ დამოუკიდებლობას და საქვეყნო მშვიდობიანობას. უასოციაციოთ ყველა ლამაზი სიტყვა მკვდარი სიტყვაა. ყველა ხალხში, მთელ ქვეყანაზე მეფობს მხოლოთ გაუთავებელი ყმობა ბატონთა და მონათა დამოკიდულება. ჩვენი ოფლი-

გამდიდრებთ და სურნელოვან სასმელათ იქცევა თქვენ არისტოკრატიულ ყანყრატოში. დიახ, თქვენი კეთილდღეობა, თქვენი ქონება შეძენილია ჩვენი შრომით; თქვენ კარგათ იცით, რომ მხოლოთ თქვენით, თქვენი მეხეებით ვართ ჩვენ უბედურნი. ჩვენი სისაწყულე თქვენი მოქმედების ნაყოფია. თქვენ შეურაცხობას ჩვენ ყოველთვის ზიზღით მივეგებებათ; შორს არ არის ის დრო, როცა, თქვენდა სამწუხაროთ, მონები აღარ გეყოლებათ და ერთათ ერთი ჭეშმარიტი კეთილშობილური სახელი ყველა პატიოსანი კაცისათვის იქნება—მუშა".

ამით იწყება კონფლიქტი საერო კრების და სახელოსნოთა შორის. რეაქციის მეთაურმა მარასტმა მუშებს აუკრძალა მოედანზე თავის მოყრა, ე. ი. წაართვა ის უფლება, რომელიც თებერვალში სისხლით მოიპოვეს. ამ ბრძანების ძალით 1000-ზე მეტის დაჭერამ გაამწვავა მუშათა აღელვება. მარატს მიმართეს შემდეგი პროკლამაციით: „რას ვითხოვთ ჩვენ? ჩვენ ვითხოვთ დაკანონებას ჩვენი უფლების შრომაზე, ასოციაციის პრინციპს მიეცეს ფართო განხორციელება, ჩვენ ვართ შრომის ხალხი და არასოდეს არ ვეძებთ, მცონარეობით ვიცხოვროთ, ჩვენ ვეძებთ ნაყოფიერ შრომას და ვითხოვთ შრომის ისეთ ორგანიზაციას, სადაც ჩვენ ძალას და ნიჭს სასარგებლო ასპარეზი მიეცემა".

მუშების ასეთ პროკლამაციებმა კიდე უფრო გააჯავრა საერო კრება და ამიანაც დაიძახა: «il faut en finir»—(დროა ბოლო მოეღოს!) 15 ივნისის სხდომაზე ეს საერთო გრძნობა გამოხატა თავის სიტყვაში ბანკირმა გუდმომ: «საჭიროა საერო სახელოსნოთა დაუყონებლივ მოსპობა, როგორც პარიჟში, ისე პროვინციაში! თქვა მან. საჭიროა არა მისი შემცირება, არამედ სრულიად გაქრობა; ტყუილათ ფიქრობდენ ამ კითხვის გადაწყვეტის გადადებას, ეს ახლავე უნდა გადაწყდეს, ისედაც ბევრი დრო დავკარგეთ, მეტს ნუღარ ვკარგავთ, დღესვე, დღესვე უნდა გადაწყდეს სახელოსნოთა ბედი. არ გადაწყვეტთ—რესპუბლიკა დაიღუპება და საზოგადოება ჩავარდება ისეთ მდგომარეობაში, რის აღწერა არ ძალმიძს. თქვენ ფეხ ქვეშ ნიადაგი ირყევა, ის გამოფუტურებულია. მე გავზომე ის და შემიძლია გითხრათ მისი სიგძე". კრება შეშინდა, შეიძრა. დღესვე, დღესვე, თუ არა დავიღუპეთ—ისმოდა ყოველ მხრიდან. გუდმოს მუშებმა ასე მიმართეს: «ჩვენი მაჯა კი არ აკლია ჩვენს სურვილს, პირიქით ჩვენი ხელობის შესაფერი შრომა აკლია ჩვენ მაჯას და ჩვენ ვითხოვთ მას სულით და გულით. თქვენ თხოულობთ «საერო სახელოსნოთა» დაუყონებლივ გაუქმებას, მარა რას იზამს 130 ათასი მუშა, რომელიც ყოველ დღე ღებულობენ თავის და თავის ცოლშვილთა საკვებ მცირე სასყიდელს? უნდა გადაუგდოთ ისინი შიმშილის ცუდ რჩევას და სასოწარკვეთილებას? თქვენ ხართ მოწოდებული სოციალური შენობის ასაგებათ. მაშ ააგეთ, გაანათლეთ, აამაღლეთ „საერო სახელოსნოები", ნუ დაანგრევთ მას". ყველა ბურჟუაზიული პარტია და მათი ყველა ორგანო, დაწყებული მონარქისტებიდან და გათავებული მონტანიარებით, ძიემხრო საერო კრებას. პროლეტარიატის სასარგებლოთ ხმა აღამაღლეს ისევ მისმა ხანმოკლე გაზეთებმა (გამოვიდა რამდენიმე ნომერი) აი რას სწერდა 14 ივნისს «საჯარო ბრალმდებელი»: «მუშა თქვენთვის, მიმართავს რესპუბლიკანელთ, გადაიქცა დაბრკოლებათ, ხელის შემშლელათ. სწორეთ ისე, როგორც ის მონარქიისათვის იყო. პროლეტარიატი ჯერ დაიმორჩილეთ «საერო სახელოსნოებში», ახლა კი მისი დიდი ქალაქებიდან გაძევებას ფიქრობთ... თქვენ გამარჯვების მეორე დღესვე მიმართეთ დაშინებას და ძალმომრეობას. იმ დროს როდესაც ძველწყობას ებრძოდით—უარყოფდით პოლიტიკურ სატუსაღოს, პოლიტიკურ საქმისათვის დაჭერას, ტენდენციურ პროტესტებს და აი ახლა თქვენ კველა ეს განაახლეთ. თქვენ სატუსაღოები აავსეთ თქვენი წინანდელი მეგობრებით. ძველ-მეფეთა დანაშაულობა თქვენი პოლიტიკის. თქვენი დაბრმავების და უკან სიარულის დაგმობაა, თქვენ რომელნიც წინააღმდეგი იყავით ამდენხანს, წინააღმდეგობას ველარ იტანთ! თქვენ ხართ ძველი კუდი ძველი ლიბერილიზმის. თქვენ გუშინდელი შეცდომა ამჯობინეთ ხვალინდელ ჭეშმარიტებას მკითხველნო, მოქალაქენო, აი ეს გასწავლის თუ რას ნიშნავს ჟურნალისტთა რევოლიუცია. რესპუბლიკა „ნასიონალისათვის"—ეს მარასტია საბჭოში. რესპუბლიკა „ოეფორმისათვის"—ეს ფლოკონია ვაჭრობის და მეურნეობის სამინისტროში»... მეორე გაზეთი „მუშათა საყვირი" სწერდა: «ვის უნდა მივენდოთ? ძველ-რესპუბლიკანელებს? ამ ბატონების უმრავლესობა ფიქრობს ერთი მეფით ნაკლები, და ერთი საყოველთაო კენჭის უფლებით მეტი ხალხს საუკეთესო რესპუბლიკა ეძლევაო. ერთი მეფით ნაკლები! ვითომ ეს საკმარისია ხალხის ჯიბის ასავსებათ! საყოველთაო კენჭის ყრა; ვითომ ეს ხალხს გააძღებს; დიდათ გმადლობთ ბატონებო! ამ არქეოლოგიურ რესპუბლიკანელთა სიტყვები გვაგონებენ იმ პირთ, რომელთაც სახარება უარყოფს. მათ სთხოვენ პურს და იძლევიან... ქვას! ახალი რესპუბლიკანელები, განა ისე გავგიჟდებით, რომ იმათ მივენდოთ? წინდაწინვე ვიცით, თუ რესპუბლიკამ შრომის კაპიტალის მიერ გაყვლეფვა და პროლეტარიატის სიღატაკე იცნო, ბევრი გუშინდელი მონარქიელები მეფის წინააღმდეგი გახდება. ისინი დაცემულ ტახტში მხოლოთ თავის ცეცხლზე მიდგმული ქოთნის სახურავს ნაღვლობენ. მათი აზრით კონსტიტუციური გვირგვინი საუკეთესო თავსახურავია ბურჟუაზიის ქვაბისათვის».

(შემდეგი იქნება).

დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა.

(კლარა ცეტკინასი).

თარგმანი რუსულიდან.

II.

(შემდეგი *).

შვილებს არ შეუძლიანთ განვითარდენ თანხმათ თავიანთ ნიჭისა და მიდრეკილებისა—ამ შემთხვევაშიაც უმთავრეს როლს თამაშობენ გარეშე, საზოგადოებრივი და არა ოჯახური პირობები; უმრავლეს შემთხვევაში სასწავლებლების კარები ღარიბთა შვილებისთვის დაკეტილია, მაგრამ, თუ როგორმე გაიღო—ეს სულ ერთია საწყალი ღარიბისთვის, რადგანაც სიღარიბის გამო მას არ შეუძლიან თავის შვილს სწავლა გააგრძელებინოს. ის აუტანელი პირობები, რომელშიაც ღარიბ კაცს დღიური საზრდოს მოპოვება უხდება, აიძულებენ მას ყოველივე საშუალება იხმაროს, რომ ოჯახში „მუქთა მჭამელი" არ დარჩეს. ამ მიზეზის გამო მამას უყავს თავის პატარა შვილი ოჯახიდან გაეთ, სამუშაოთ.

ერთის სიტყვით, ქალი, როგორც ცოლი, დიასახლისი და დედა,—ყოველთვის და ყველგან გარეშე ეკონომიურ მიზეზებს ემორჩილება, ისინი არიან მისი ბედისა და იღბლის გიდამწყვეტნი.

ყველა ამის შემდეგ იმას არ ძლევენ ნებას მონაწილეობა მიიღოს განახლებულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომლისგანაც მისი ჭირი და ლხინი, ერთი სიტყვით, მთელი მისი ცხოვრებაა დამოკიდებული, უფრო მეტათ, ვიდრე წი-

*) იხილე მოგზ. № 21.

ნეთ, როდესაც მთელი ოჯახის წყობილება დედაკაცის „დიასახლისურ ნიჭზე“ იყო დამყარებული.

ის ვერ უნდა კითხულობდეს რათ გაძვირდა მისი ბაცი ჩაი, გამხმარი პური, მაგარი, ძარღვიანი ხორცი, თხელი ჩითი, რათ დაასახჩირეს მისი საყვარელი არსება, დატოვეს მისი ქმარი სრულებით მშიერი, უადგილოთ. რათ არგუნა ბედმა აუტანელი შრომა მის შვილს, რომელმაც ბავშობა ჰაპან-წყვეტაში და მწუხარებაში უნდა გაატაროს, რატომ რჩება თითონ ის სიბერის დროს მშიერ-მწყურვალი უპატრონოთ, უსახლკაროთ, რათ მცირდება თან და თან მისი ქმრის ხელფასი და გრძელდება სამუშაო დღე?! ის არ უნდა ღებულობდეს პასუხს იმ აუარებელ კითხვებზე, რომელნიც ეხებიან თითონ იმისა და მისი ახლობლების აუტანელ ცხოვრებას?!

მან ვერ უნდა გამოიკვლიოს მიზეზები თავისი გაჭირვებისა, დაემორჩილოს თავის ბედს და დაკმაყოფილდეს ყველა მითი, რაც მიაქანებს მას აუცილებელ დაღუპვისაკენ?!..

უფრო გაჭირვებულათ გრძნობს თავის თავს ის ქალი, რომელიც განთავისუფლდა რა ქმრის ბატონობისაგან, «როგორც სამუშაო ძალა», კაპიტალისტის ბრჭყალებში ჩავარდა.

ფაბრიკაში მომუშავე ქალების ინტერესებს პირ და პირ ეხება სახელმწიფოს კანონ-მდებლობა. როგორც ყოველ საზოგადოების წევრს, ისე მუშა-ქალსაც უფლება უნდა ქონდეს პირ და პირი დამოკიდებულება იქონიოს ყველა მთავრობის წარმომადგენლებთან, თითონ უნდა გამოთქვამდეს თავის სურვილებს, მოითხოვნებს და აცხადებდეს პროტესტებს. პირველ ყოვლისა, ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებაში მას ხმის უფლება უნდა მიენიჭოს. მისი სოციალური მოვალეობა არასფრით არ განსხვავდება მუშა-კაცის მოვალეობისაგან.

იმ კანონებს, რომელნიც აწესრიგებენ საფაბრიკო და სახელოსნო შრომას, მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც მუშა-კაცებისთვის. ქალისთვის საჭიროა იცოდეს აქვს თუ არა მას უფლება თავისუფლათ მიმოსვლისა, რადგანაც მისი მდგომარეობის გაუმჯობესობა ამაზეა დამოკიდებული; ეს უფლება უადვილებს მას ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლას, უფრო სასარგებლო სამუშაოს მოპოვებას. მისთვის აუცილებელი საჭიროა იცოდეს აგრეთვე ისიც, წარმომადგენელია თუ არა მთავრობა მარტო საზოგადოების შეძლებული ნაწილისა, იცავს მხოლოდ მათ ინტერესებს და მუშებს კი ესარჩლება სიტყვით და არა საქმით. საზღვრავს თუ არა ის კაპიტალისტებისაგან მუშების შეუბრალებელ ექსპლუატაციას, თუ ამას ის სრულებით ყურადღებას არ აქცევს.

იმ კითხვებს, რომელნიც შეეხებიან ნორმალურ რვა საათის სამუშაო დღის შემოღებას, ღამ-ღამობითა და უქმე დღეებში მუშაობის აკრძალვას, ზოგიერთ სამრეწველო დარგში ჰიგიენურსა და სანიტარულ ზომების შემოღებას—ყველა ამ კითხვებს დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც მუშა კაცისთვის, ისე მუშა ქალისთვისაც.

ქალისთვის საჭიროა იცოდეს ნება აქვს თუ არა კაპიტალისტს, როგორც ის მოისურვებს, ისე შეამციროს მუშის ხელ-ფასი, თუ ვერ დასწევს ამ ხელ-ფასს მინიმალურ ნორმის ქვეით, რამაც უნდა უზრუნველ ჰყოს მუშის უსაჭიროესი მოთხოვნილებანი.

კანონები, რომელნიც შეეხებიან საპენსიო და ღარიბთა დამხმარებელ კასას, უბედურ შემთხვევის თავიდან აცილებას და სხვა—ერთნაირათ მნიშვნელოვანი არიან, როგორც მუშა კაცისთვის, ისე მუშა ქალისთვის რადგანაც ყოველ წუთში შესაძლებელია, რომ ის მრწველობის მსხვერპლი გახდება. შრომის პირობები კი იმნაირია, რომ ყოველად შეუძლებელია მუშა-ქალმა უზრუნველ ჰყოს თავისი თავი, თუ რაიმე უბედურება შეემთხვა. იმ კანონებს, რომელნიც ეხებიან კრებებისა და კავშირების თავის უფლებას, ერთ ნაირი მნიშვნელობა აქვთ, როგორც მუშა-კაცებისთვის, ისე მუშა ქალებისათვის. ეს უფლება საშუალებას-აძლევს ქალს წინააღმდეგობა გაუწიოს კაპიტალის ძალას.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ქალი ხელ-ფეხიანა იბოჭება და კაპიტალის განუსაზღვრელ ბატონობის ქვეშ რჩება. თავისუფლათ შეკრების უფლება საშუალებას აძლევს ქალებს გამოარკვიონ და დაიცვან თავიანთი ინტერესები. კავშირების უფლება კი საშუალებაა ქალთა შეერთებისა, რომ საერთო ძალით ებრძოლონ კაპიტალს და გაიკაფონ გზა თავიანთ განთავისუფლებისაკენ.

(შემდეგი იქნება).

ფოთში გურულ-მეგრელ მუშათა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების შესახებ.

(წასულთათ ბ-ნ თ. სახოკიას). *)

ბ-ნი თ. სახოკია გვაუწყებს შემდეგს: ფოთში უთანხმოება ჩამოვარდნილა გურულ-მეგრელ მუშათა შორის და რომ მუშები გარეშე პირებს არ დაემშვიდებიათ, შესაძლებელია სისხლის ღვრა მომხდარიყოო. მთხოვს დავასახელო ის პირი, რომელმაც მუშები მიუსია ერთმანეთს. ფოთში გურულ-მეგრელ და ხონელ მუშათა შორის მომხდარ უთანხმოების თავი და თავი მიზეზები იყვენ ყოფილი „подрядчикъ“-ები და რუსეთში დღეს მომქმედი ბნელი ძალები. ამათ მიემატენ ზოგიერთი ბრწყინვალე ავტონომისტები, და მათაც ხელი შეუწყეს უთანხმოების გაძლიერებას. ერთმა მათგანმა წამოაყენა ამ გვარი მოსაზრება:

„ფოთი უფლებით მეგრელებს ეკუთვნის, აქ არსებობს გურულთა საკითხი და ინტერესები, მეგრელთა საკითხი და ინტერესები და რამდენიც უნდა მალონ ეს ჭირი დასელებმა, ის მაინც თავს იჩენსო. აი ამგვარმა ჩარევამ და ქადაგებამ ხელი შეუწყო ბიუროკრატიის ბინძურ განზრახვას ხალხის ხალხზე მისევაში. ასეთია საქმის ვითარება. ტყვილია, ვითომც ის უთანხმოება გარეშე პირებს უკვე დაემშვიდებიოს, შესაძლებელია სისხლის ღვრაც მომხდარიყო და ა.შ. არ მოხდა ისევ იმავე მუშების მეოხებით. 15 მაისს მეგრელები დაეცენ მომუშავე გურულ-ხონელებს, მაგრამ მუშებმა შეტაკების თავიდან ასაშორებლათ სამუშაო მიატოვეს, მოიქცენ სწორეთ ისე, როგორც შეფერის ნამდვილ შეგნებულ მუშებს. დღესაც არაა საფუძვლით უთანხმოება ჩამქრალი და შეტაკება კიდევ მოსალოდნელია. გარეშე პირებს კი, გარდა თვით მუშების მოწინავე პირებისა, არავითარი ზომები არ მიუღიათ მუშების შესარიგებლათ. ავტონომისტები ისე მოიქცენ როგორც მოგახსენეთ. პოლიციამ და ჩარჩუკა მოიჯარადრეებმა სისხლის ღვრის ინიციატორობა თავიანთ თავზე მიიღეს, მაგრამ ამ დროს ფოთის ქალაქის თავსაც არ ძინებია გულზე ხელ დაკრეფილი და ქადაგობდა „ხომ გითხარით მე თქვენ (მუშებო), რომ ბრძოლით, ძალით მოპოვებული არაფერი არ ვარგა და ისევ ძალით წაგართმევენ-მეთქი“. აი ბატონებო გაიგეთ როგორი დახმარება აღმოუჩენიათ გარეშე პირებს უთანხმოების ჩასაქრობათ. ჩვენი ნაციონალისტების ამ გვარი საქციელი

*) ეს წერილი „ცნობის ფ—ში“, გავგზავნე 2 ივნისს, მაგრამ, როგორც ჩანს, არ ინება მისი დაბეჭდვა, თუმცა ვერ გამიგია რა მოსაზრებით შეუძლიათ „ღია წერილზე“ პასუხი არ მაგებინონ. ვწუხვარ, რომ ამ მიზეზით პასუხი დამიგვიანდა და გთხოვთ თქვენი გაზეთის უმაბლობელეს №-ში მოათავსოთ

ბ. ჩ. 8 ივნის.

ვაუწყე საზოგადოებას მსჯავრის დასადებათ, როგორც მათი ფიზიონომიის დამახასიათებელი ფაქტი. ავტონომისტები მუშებს დანაწილებას უქადაგებენ მაშინ, როცა მუშებისათვის შეერთება, შეკავშირებაა საჭირო და მიკვირს, როგორ არ ცოდნია ეს ბ-ნ თ. სახოკიას და რათ მისაყვედურებს,—ამით პარტიას ჩირქი ეცხებაო. მართალია ჯერ ფოთისებური ამბავი სხვაგან არ მოუხდენია ნაციონალისტებს, მაგრამ ეს იმის ბრალია, რომ ამდენ ხანს სოროში იყვენ და მხოლოთ დღეს გამოფრინდენ იქიდან. მომავალში-კი თუ დასცალდა, იმედი მაქვს, გააგრძელებენ მოღვაწეობას მავ ნიადაგზე და არ უღალატებენ თავიანთ პრინციპებს. რაც შეეხება იმ პირს, რომელმაც ფოთში ის მუხანათობა გასწია, გაზეთის საშვალებით მის დასახელებაზე უარს ვაცხადებ, რადგანაც არ მინდა მას (ვინც უნდა იყოს) ისეთი «დათვური სამსახური», გავუწიო როგორც ეს მიყო ბ-ნ თ. სახოკიამ მე. აგრეთვე შეუძლებელათ მიმაჩნია გაზეთის საშვალებით იმ საბუთების გამოქვეყნება, რომელნიც ამოწმებენ 26 მაისს ჩემ მიერ ნათქვამს, ჩვენ ვერ ვიკისრებთ ასეთ როლს და ისევ ბ. თ. სახოკიასათვის დავგვითმია! მან კარგათ იცის რაშიაცაა საქმე, რასაც გამოიწვევს გაზეთის საშვალებით იმ საბუთების დასახელება, მაგრამ მაინც თხოულობს მათ გამოქვეყნებას!...

ბ. თ. სახოკიას ეგონა ალბათ საფრანგეთში იყო, როცა თავის წერილს წერდა, თორემ რუსეთში ასეთი მოთხოვნა, მეტი რომ არ ვთქვათ, სახიფათო მაინცაა მოპირდაპირისათვის!..

„მაშ გაქცევა გინდათო"—შემოგვძახებს ბატონი თედო, „რომ საბუთებს და კაცს არ ასახელებთო". კარგათ იცის თედორემ, მისმა ამხ. და ხალხმა, ვინაა ის პირი და თუ ამ უკანასკნელს რაიმე ეჭვი ეპარება ჩემი სიტყვების სინამდვილეში ვთხოვ გამომბრძანდეს სამედიატორო სამართალში. მე რაც ვთქვი ის ფაქტია, რომლის დამტკიცებაც შემიძლია და საბუთებიც ხელში მაქვს. იმ პირს შეუძლია მომმართოს წერილებით შემდეგი ადრესით: Чохатаури. Веніамину Чхиквишвили.

ბენია ჩხიკვიშვილი.

ღია წერილი

თფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ქართველ მასწავლებლებს მიმართ.

„დრონი იცვალნენ. დაძინებულმა გამოიღვიძა, თავი მაღლა აიღო და ხმა მაღლა ღაღადებს: „ასე ცხოვრება აღარ შეიძლება!» გუშინდელი ყურმოჭრილი ყმა დღეს თამამად ეუბნება ბატონს: «გეყოფა ბატონობა, თვითნებობა. ეხლა ადგილი დაუთმე იმას, ვინც თავის კისრით ატარებს «უღელს ვინც თავის ოფლით და სისხლით რწყავს თავის საქმეს»! ("ცნ. ფ." № 2834).

ვიწყებ ამ წერილს ერთი ჩემი მასწავლებლის, თფ. სათ.-აზნ. სკოლის და თქვენი ბელადის სიტყვებით და ვეცდები ამ ეპიგრაფის ქვევით დასასაბუთებლათ მოვყვე ამ ღია წერილში, თუ როგორ ნიადაგზეა აღმოცენებული ეს სიტყვები, ან როგორი რეალიზაცია პოვა „თავისუფლების სიომ" იმ წრეში, რომლის წარმომადგენელნი, თქვენ გაკიცით თავისუფლების შესახებ.

მეც ხომ ამ ცოტა ხნის წინათ იმ ოჯახს ვეკუთნოდი, რომელსაც თქვენ განაგებთ, და ამიტომ შემიძლია გამოვაშკარავო ის ფაქტები, რომელნიც ძირიანათ ეწინააღმდეგებიან თქვენ ბიერ გამომზეურებულ ლიბერალურ ფრაზებს.

„თავისუფლების სიომ მიაღწია სათ.-აზნ. სკოლამდის» და გამოგვაფხიზლა ჩვენ, მოსწავლენიც. შორეულ ჩრდილოეთიდან სამხრეთამდი და ციმბირიდან პოლონეთამდე გამეფებულმა განახლების სიომ ჩვენ შკოლაშიაც სტყორცნა თავისი ძლევა მოსილი სხივი და როცა ჩვენ, მოსწავლეებმა, ჰასუხი გვეგცით იმას და აშკარათ ხელი გავუწოდეთ მთელი რუსეთის მოსწავლე ახალ-გაზდობას, ჩვენ შევეჯახეთ კარჩაკეტილი ბიუროკრატიზმის ეკლებს და ვიგრძენით ისეთი უსამართლობა, რომლის მსგავს ადგილი ძლიერ ძვირათ ქონდა სახელმწიფო სასწავლებლებშიც კი, როცა იქაც ისეთივე „არა კეთილსაიმედონი" აღმოჩნდენ, როგორიც ჩვენ შევიქენით... მიუხედავათ ამისა და სხვა მრავალ მის გვართა, თქვენ, ბატონო მასწავლებელნო, ძლიერ გაცხარებით ალაპარაკდით კრებებზე თუ პრესაში და ყოველნაირათ ცდილობთ დაუმტკიცოთ საზოგადოებას, რომ არ გავხართ სხვა ბიურთკრატებს და ყოველთვის და ყოველგან სამართლიანათ იქცევით.

„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა და მათ შუა დიდი ზღვაა!" —მე გეტყვით და კიდევაც დაგიმტკიცებთ, რომ უსამართლობა და „ჩინოვნიკური" მოქმედება თქვენ შკოლაში ჩაკეტეთ და შკოლის გარეთ კი დღეს, როდესაც მოქმედებაა საჭირო და არა ცარიელი სიტყვები, თქვენ დაიწყეთ სამართალზე ღაღადი და სიტყვების რახა რუხი. არა, უკეთესია დავუკვირდეთ თქვენს მოქმედებას და მაშინ უფრო შევიტყობთ რამდენათ პატიოსნურათ ასრულებდით თქვენ—თქვენს წმინდა მოვალეობას!

რადგან სათავად-აზნეურო შკოლა იგივე გიმნაზიაა, ამიტომ პროგრამას მე ყურადღებას არ მივაქცევ: ამ მხრივ ისეთივე სამსახურს გვიწევდა ჩვენ, როგორც მთელი რუსეთის ახალგაზდობას. ჩემი მიზანია მოკლეთ შევეხო თქვენს **ზნეობრივ** და გონებრივ მოქმედებას...

დავიწყოთ ჩვენთვის სახსოვარ **26** იანვრიდან.

ვალათ ვრაცხ ჩემ თავს, როგორც მოწმე, განვაცხადო რომ ნ. ყიფიანის წერილში, „ნიღაბ აფარებული ქართველი „პედაგოგები" (მოგ. № 17), მოყვანილი ფაქტები სრული ჭეშმარიტებაა. ადამიანი შეცთება, მაგრამ აღიარებს თავის შეცთომას. თქვენი მოქმედება კი არ ვიცი რას მიეწერო. მართალია, ბევრმა თქვენგანმა იმ დღეებში კიდევაც აღიარა, რომ 26 იანვარს უსამართლოთ და ცუდათ მოიქეცით, მაგრამ „ცნ. ფ." № 2828 ნომერში თქვენი კორპორაციის წერილი რომ წავიკითხე, სწორე გითხრათ რაღაც ზიზღი ვიგრძენ, მომაგონდა თქვენი უსამართლო მოქმედებანი და ვთქვი: ნუ თუ ასეთი მასწავლებლების, აღმზრდელების და დამრიგებლების მსხვერპლი ვიყავი მეთქი...

ხოლო თქვენგან კი არ მიკვირს ასეთი გადავარება ბ ნო შ. ა. ჩიტაძეც, რადგან კარგათ მახსოვს, რომ იმის შემდეგ რაც პოლიციაში გამგზავრებას გვიპირებდით, ერთი ჩვენგანი გამოთხოვებისას დაგეკითხათ—პოლიციაში რათ გვაგზავნითო, თქვენ შემდეგი ლანძღვით მიმართეთ: „რაებს ბოდავ, ალბათ თუ გძინავს, ჯერ გაიღვიძე და მერე მელაპარაკეო!" შეიძლება ესეც ივაროთ, მაშინ კი იქ მყოფ მოწმეებს დავეკითხებით. არა, ბ-ნო შ. ა., თქვენ კიდევ რაღა გასამართლებელი პირი გაქვთ: სულ რამდენიმე თვე იყავით ჩამოსული, თითქმის არც ერთს ჩვენგანს არ იცნობდით და რომ გაიგეთ რა მიმართულების ვიყავით, **ათი წუთის** განმავლობაში, სხვების დაუკითხავათ *), ცბრალო მიზეზის გამო **გაგვლანძღეთ, ჩვენი რწმენა და პირადობა შეურაცხყეთ და დაგვითხოვეთ** 12 მოსწავლე, მხოლოთ იმიტომ, რომ იმ სიტყვებს, რომელსაც თქვენ დღეს, ასე რახა-რუხით სროლილობთ, ჩვენ ნიადაგი ვუპოვნეთ და საქმით შევმოსეთ. ნუ თუ ამის ნება გქონდათ

*) მასწავლებლებმა კი იცოდენ, რომ დათხოვნა ათი წუთის განმავლობაში მოხდა და არავითარი მონაწილეობა კი არ მიიღეს და არც პროტესტი განუცხადეს გაშვეს მიერ უფლებების უზურპაციას. განა ეს საქციელი ნამდვილი ჩინოვნიკური არ არის?!

ზნეობრივათ? იურიდიულათ კი ხომ არც შეგეძლოთ 12 მოსწავლის 10 წუთში დათხოვნა? მერე თქვენ თუ მართალი იყავით და ჩვენ მტყუანი, რათ გვეხვეწებოდენ მეორე დღეს და შემდეგ მასწავლებელნი, კომიტეტის წევრნი და თვით კო მიტეტის თავმჯდომარე დაბრუნებულიყავით? რას იტყვით ამაზე ბ-ნო შ. ა—ძევ!... (მოწმე მთელი სკოლაა) სად იყვენ ჩვენი დათხოვის დროს ჩვენი მასწავლებელნი? გულშემატკივრობაც ასეთი უნდა! მაგრამ იმათაც გამოვესაუბრო, უმეტეს თქვენ ბ-ნო აღმზდელო და მასწავლებელო ხ. პ. ღ—ო და ბ-ნო მასწავლებელო დ. გ. კ—შვილო!

როგორი ყურმოჭრილი მონა უნდა ყოფილიყო ის მოსწავლე, რომ თქვენი ლანძღვა და პირადობის დამცირება აეტანა ბ-ნო ხ. ღ—ო. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის შემოსული იყავით, წერის ეგზამენებზე დაგნიშნეს ასისტენტათ. თქვენ კი ნამდვილ პოლიციელის ზომებს მიმართეთ უფროს კლასებში. სამი-ოთხი მასწავლებლები დაგვცქეროდით თავზე და თქვენ კიდევ მოსწავლეებს გაფაცცებით ეჩხრეკდით სტოლებს, შეუნიშნელათ აბრალებდით ამას თუ იმას შენ **ჭურდულათ იწერო** და შეურაცხყოფას აყენებდით უდანაშაულო მოსწავლეებს. სწორეთ ამიტომ იყო, ბ-ნო ღ—ო, რომ კლასებიდან გისტუმრებდენ შემდეგი სიტყვებით: **„Долой полицейскаго“, „Ваше мѣсто въ полиціи“** და სხვა. თქვენ კი თქვენსას არ იშლიდით. (მოწმეა 1903—1904 წლ. მეექვსე და მეშვიდე კლასები და სხვ.) ამას თან ემატებოდა თქვენი მოსწავლეებისადმი ცუდათ მოპყრობა. ამიტომაც იყო ბევრი მოსწავლეთაგანი იძულებული შეიქნა კერძოთ ემეცადინა ერთ-ერთ საინტერესო საგანში და თქვენთვის ბოიკოტი გამოეცხადებინა. ამიტომ იყო პატივისცემით ვერ გეპყრობოდენ მოსწავლეები; როდესაც კლასში მომავალს დაგინახავდენ, მთელი კლასი ახმაურდებოდა. ხომ გახსოვთ, ერთ შვენიერ დღეს (ეს წელს იყო) მთელი ნახევარი საათი ისეირნეთ მეშვიდე კლასის წინ, ფიქრობდით დაწუნარდებიანო, მაგრამ რომ არ დაწუნარდა კლასი, შემოდით და უშვერი სიტყვებით დაგვიწყეთ ლანძღვა, გვიწოდეთ **„толстокожіе ...“** და სხვა.

ახლა გადავიდეთ თქვენზე ბ-ნო დ. გ. კ—შვილო! თქვენ გთხოვთ დამისახელოთ ისეთი მოსწავლე, რომლისთვისაც არ დაგეცინათ, არ შეურაცხყოთ მათი პირადობა, ან თუ ყოფილა ისეთი გაკვეთილი რომ მოსწავლეებთან უკმაყოფილება არ გამოგეწვიათ. ამიტომ იყო ბ-ნო დ. გ. კ—შვილო, რომ მთელი შკოლა ამხედრდა თქვენს წინააღმდეგ. თქვენც საინტერესო საგანი გქონდათ—ფრანგული ენა. კარგათაც გვასწავლიდით. ხოლო თქვენმა ხასიათმა ყველაფერი შეგვაძულა. ამასთანავე გეტყვით, რომ ძლიერ ცუდათ ეპყრობოდით ყველას და ყველაზე უფრო კი იმერლებს. ბევრჯელ გითქვამთ მოსწავლე იმერლებისათვის: «აქ თქვენი ადგილი არ არისო». როდესაც მთელი კლასი ბოიკოტს გიცხადებდა ან გაკვეთილებზე უარს გეტყოდენ, მაშინვე იმერლებს მივარდებოდით და აგრეთვე ყველას ვინც თაყვანს არ გცემდათ, დაასმენდით გამგესთან და „ერთებით“ გაავსებდით ჟურნალის უჯრებს. ერთი სიტყვით თქვენ სნეულებათ გქონდათ გადაქცეული **მოსწავლის დაცინვა, ამა თუ იმის პირადობის შეურაცხყოფა და გალანძღვა.** ამიტომაც იყო ბ-ნო დ. გ. კ—შვილო, რომ შარშან, წლის დამლევს იმის მაგიერ რომ მოსწავლეებს მადლობა გამოეცხადებინათ თქვენთვის, ზიზღი გამოგიცხადეს. ბ-ნ ს. რ. გორ—ძეს, უნდა მოვახსენოთ, რომ როდესაც მან გაიგო, რომ მოსწავლეებმაც გამოიღვიძეს, ხმა ამოიღეს და მოქმედებას შეუდგენ, ისე გაკვეთილი არ გავიდოდა რომ შემდეგი დარიგება არ მოეცა: «შუშათა მოძრაობა თქვენს დახმარებას არ საჭიროებს და თუ ვინიცობა თქვენც იმოქმედებთ რასმე, ტყუილათ დაიღუპებით, სახალინში თუ არ გაგზავნეს, რედგანაც იაპონიის ხელში გადადის, დაგიჭერენ და ციხეში დაგალპობენო (მოწმე მეშვიდე კლასია).

რაც შეეხება აღმზრდელებს, რომლებიც ყურადღებას აქცევენ მოსწავლეების ზნე-ჩვეულებას, ერთი მათგანი შემდეგი პატიოსნების მაგალითს გვიჩვენებდა მოსწავლეებს: მეტის-მეტი ლიბერალობით ნამეტანი დაუახლოვდა მოსწავლეებს, ხშირათ ესესხებოდა მათ ფულს და შემდეგ **სრულებით არ აძლევდა**... (რამდენიმე მაგალითი იყო); მეორე მათგანი 26 იანვარს სანამდის ცნობილი ინციდენტი მოხდებოდა, შემოვიდა ჩვენს კლასში და მოიწვია ის სამოდე აგვეწყო მოსწავლეები, რომლებიც შემდეგ პალტოს შესანახ კარებზე გადგებოდენ და ზოგიერთ ჩვენგანს ცემაც კი დაუპირეს.

ახლა ერთი „მარგალიტი“ იმის შესახებ, თუ როგორი მოსაზრებით ხელმძღვანელობდით ჩვენ აღზრდის საქმეში: რუსულის მასწავლებლათ თქვენ, მოიწვიეთ გიმნაზიიდან „ჩინოვნიკი“, რომელსაც სრულებით არაფერი ქონდა მასწავლებლის, მისი მოქმედება ყოველ „ჩინოვნიკის“ მოქმედებაზე დაბლა იდგა, საგანი სრულებით არ იცოდა, ტემებს ვერ გვისწორებდა, გაკვეთილს ვერ გვიხსნიდა და გვავიწყდებოდა ისიც რაც დაბალ კლასებში ვიცოდით. როდესაც მოგმართავდით, თქვენ, ასეთს პასუხს გვაძლევდით; „ჩვენც ვიცით, რომ თქვენი რუსულის მასწავლებელი მოუმზადებელია და ვერაფერს ცოდნას მოგცემთო, მაგრამ მოვიწვიეთ იმისთვის, რომ გიმნაზიაში შეუძლია პროტექცია გაგვიკეთოსო“. დიახ, თქვენა ცდილობდით ისევ თქვენ სახელისთვის, გიწდოდათ რომ პროტექციით და არა ცოდნით მიგველო დიპლომი.

ნუ თუ ახლაც თავის მართლებას დაიწყებთ? მაგრამ ისეთი თავის მართლებით როგორიც „ცნ. ფურც.“ № 2828 ნომერში იყო ვერავის დააჯერებთ, და განა სიმართლის მომხრე უსაყვედურებს ვისმე რომ თავისი საბუთიანი აზრის გამოთქმისათვის ადგილი დაუთმოს გაზეთში! თქვენ კი «მოგზაურის» რედაქციას სამართალში იწვევდით, რითაც ჩვენი გაჩუმება გინდოდათ. მაგრამ სჯობს ისინი გაჩუმდენ, ვინც მართოდენ ლაპარაკობს და საქმეს გაურბის. თქვენი სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, თქვენ ცხოვრება მოაკილეთ სწავლას, ჩვენ კი მას შემდეგ, რაც კარგი და ავი გავარჩიეთ, სხვაფერი შეხედულება კვქონდა სწავლაზე: **„non schulae, sed vitae dìcimus“** და სწორეთ ამის გამო დღევანდელ პირობებისა და თქვენი წყალობით, დღეს ქუჩაში მოვხვით, მაგრამ შეიძლება აქ უფრო საპირონი ვიქნეთ.

ს. კანდელაკი.

ბატონო რედაქტორო!

თქვენის პატივცემული ჟურნალის მეოცე ნომერში დაბეჭდილია სტატია „თავად-აზნაურთა დრუჟინის დასახასიათებლათ“ და ავტორი იოსებ ბესელიძე ამ სტატიის ბოლოს ბრძანებს, რომ გორის მაზრაში ხმა გავრცელდა, ვითომ დრუჟინის კომიტეტის წევრათ სხვათა შორის ნ. ცხვედაძეც არისო. მე არ ვიცი ვინ ავრცელებს ამ ხმასა და ან ვისა ჯერა ეს. სწორეთ სამწუხაროა, რომ ჩვენში ყოველივე ხმა ადვილათ ვრცელდება და ადვილათაც იჯერებენ. მე საჭიროთ ვთვლი გამოვაცხადო ურწმუნოთა დასარწმუნებლათ, რომ მე არც ვარ და არც შემეძლო ვყოფილიყავ წევრათ თავად-აზნაურთა დრუჟინის კომიტეტისა, რადგანაც მაგგვარი ზომა მშვიდობიანობის ჩამოსაგდებლათ არ ეთანხმება ჩემს შეხედულებას და ხასიათს. იქნება ბ. ბესელიძემ სხვას მოკრა ყური და და ვერ შეიტყო, რაში მდგომარეობს საქმე. დიდი ხანია მაწუხებს ის აზრი, რომ ჩვენში მრავალნი არიან ერთგორც გლეხებთა შორის, უმაღულონი და მცირე მამულიანი და ამავე დროს კი უცხო ხალხნი ყოველივე ღონეს ხმარობენ დამშვიდდენ—სამუდამოთ დასახლდნენ ჩვენი მამა-პაპის სისხლით მორწყულ მიწა-წყმლზე. როდესაც რამდენიმე ქართველმა გამოაცხადა სურვილი შეედგინათ „ქართველთა საზოგადოება ურთი-ერთის დახმარებისა! მე გამოვაცხადე ჩემი სურვილი მიმეღო მონაწილეობა ამ გვარის საზოგადოების შედგენაში და კიდევაც სხვებთან ერთათ მემუშავნა ამ საზოგადოების წესდების დასაწერათ. ეს წესდება დღეს დაწერილია და მალეც გამოცხადდება. თავი და თავი აზრი საზოგადოებისა ის არის, რომ დავეხმაროთ ყოველივე სახსრებით მცირე მემამულეთა და უმამულო ქართველთ შეიძინონ მამული და თავიანთ მეურნეობა მოაწყონ ისე, როგორც მოითხოვს ჩვენი ცხოვრების საჭიროება და თანამედროვე მეცნიერება. ჩვენი აწინდელი სოციალურ-პოლიტიკური მდგომიარობა მოითხოვს ჩემის აზრით, რომ დავეხმაროთ გაჭირვებულს ქართველს—ვინც უნდა იყვეს ეს ქართველი—გლეხი, თუ აზნაური, მღვდლის შვილი, თუ ვაჭრისა—მხოლოთ ქართველი კი იყვეს. მე ბედნიერათ ჩავთლი ჩემს თავს, თუ რითიმე ამ საზოგადოებას დავეხმარები და რასაც ვფიქრობ და გვრძნობ ამ ჟამად ცოტათი მაინც განვავრცელებ.

ნ. ცხვედაძე.

29 მაისს, 1905 წ.

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го Іюня 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა. რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.